# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 22 ოქტომბერი 1999 №203 (976) | ფასი 50 თეთრი


# საუკუნის საქმე



საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი



ქართული ჭადრაკის ორი დედოფალი: ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია

*უკანასკნელ თვეებს და დღეებს ითვლის მეოცე საუკუნე და გამალებით მიექანება მესამე ათასწლეულისკენ. ცხადია, გვაინტერესებს, რა გავაკეთეთ, რას მივაღწიეთ ამ შფოთიან, დაუდგრომელ, ადამიანის გაზრდილი გონებრივ-ფიზიკური შესაძლებლობების ეპოქაში. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ახლახან ჩატარებული რეფერენდუმიც ამის დასტურია. სამშაბათს, 19 ოქტომბერს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამოვლინდნენ საუკუნის საუკეთესო სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტული მოღვაწეები, გუნდები... იმ დღეს მეოცე საუკუნემ თავისი მიითვალა. სწორედ ამაზე გვესაუბრება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, ვისი ძალისხმევითაც მოეწყო ეს რეფერენდუმი.*

— ღვთის ნებით, ისეთ პერიოდში მოგიწიათ საქმიანობამ, რომ მთელი საუკუნის სპორტული მონაგრის შეჯამება გხვდათ წილად.

— მართლაც ასეა. ეს ტვირთი ჩემი თაობის ჟურნალისტებმა ვზიდეთ. ამ საქმეს ყველა ქვეყანაში ჟურნალისტები აკეთებენ. მართალია, ეს ზოგიერთს კიდეც უკვირს, მაგრამ მგონია, ეს სწორედ ჟურნალისტების საქმეა. ჟურნალისტი მაინც ობიექტურია, უფრო ნეიტრალურია, ვიდრე სხვა, თუმც ჟიურის შემადგენლობაში სხვა პროფესიის ადამიანებიც შევიყვანეთ.

როცა რეფერენდუმზე მუშაობას ვიწყებდით, ვიცოდით, რა პრობლემებსაც ვეჭიდებოდით. ვიცოდით, უსიამოვნებებიც შეგვხვდებოდა, ვიღაცა კიდეც გაგვინაწყენდებოდა, მაგრამ მზად ვიყავით სიძნელეებისთვის. ეს იმდენად მნიშვნელოვანი საქმე იყო, არაფერს შევუშინდით.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

## 3 ფედერაციას მერანიც აუჯანყდა

ფეხბურთელი მოვატყუე, სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი, „სინათლიდან“ უვნებლად თავს ვერ დავიძვრენდითო — უთქვამს „მერან“ — „იბერიას“ მატჩის დელეგატ გია ძამუკაშვილს

## 5 რაც იყო, იყო

ხობის „კოლხეთს“ ისევ ფრიდონ გოცირიძე გაწვრთნის. სასურველი მწვრთნელის დაბრუნებით გახარებული ფეხბურთელები კლუბის ხელმძღვანელებს საჩუქრებს ჰპირდებიან

## 6 ბეკენბაუერი ფიფას თაფლავს




„კაიზერ ფრანცი“ საქმეში აქტიურად ჩაერთო

## 7 ყოყმანობს და ვერ გადაუწყვეტია

დენის ბერჭკამპი, შესაძლოა, „არსენალიდან“ წავიდეს



UEFA CUP

წუხელ გამართულ უეფას თასის მეორე ეტაპის პირველი წრის მატჩებში ოთხმა ქართველმა ითამაშა: ერთმა მოიგო, სამმა კი წააგო. ინგლისურმა „ლიდსმა“ ზედიზედ მეათე შეხვედრაში გაიმარჯვა და 1931 წელს დამყარებული საკუთარი რეკორდი დაამხო. შოტლანდიური „სელტიკის“ შვედ თავდამსხმელს ჰენრიკ ლარსონს ფრანგულ „ლიონთან“ შეხვედრაში ფეხი ორ ადგილას გადაუტყდა

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS

ციურიხი — ნიუკასლი 1:2. მიხეილ ყაველაშვილი (მარცხნივ) არონ ჰიუზის წინააღმდეგ

## უეფას თასი. მეორე ეტაპი
პირველი წრე. 21 ოქტომბერი

UEFA CUP

**ციურიხი (შვეიცარია) 1:2 ნიუკასლი (ინგლისი)**

0:1 მარიჩი (51), 0:2 შირერი (60), 1:2 კასტილიო (68)
ციურიხი: პასკოლო, კასტილიო, შტოკლასა, ჯამარაული, კებე (დუგლასი 65), ფრიკი (აკალე 76), სანტანა, ეიდელი, შასო (დელ სინიორი 65), ყაველაშვილი, ბარტლეტი
ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი, დაბიზასი, ჰიუზი, დომი, სოლანო (მაკლენი 88), ლი, დაიერი (სერანტი 64), სპიდი, შირერი, მარიჩი (რობინსონი 80)

**ლიდსი (ინგლისი) 4:1 ლოკომოტივი (რუსეთი)**

1:0, 2:0 ბოუერი (27, 45), 3:0 სმიტი (56), 3:1 ლოსკოვი (81), 4:1 კიუელი (83)
ლიდსი: მარტინი, კელი, რადებე, ვუდგეიტი, ჰარტი, ბოიერი, ბეტი, მაკფეილი, კიუელი, სნიკი, ბრიჯესი (ჰაკერბი 62)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, არიფულინი, დროზდოვი, ხარლაჩოვი, ლავრიკი, ჩუგაინოვი, სმერტინი, პაშინინი (ოგანესიანი 61), ჯანაშია (ბულიკინი 39), ლოსკოვი, სარქისიანი

**ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) 0:3 აიაქსი (ჰოლანდია)**

0:1 მახლასი (3), 0:2 კნოპერი (14), 0:3 ლაუდრუპი (53)
ჰაპოელი: ავატი, ტალკარი (აზულაი 73), ჰალფონი, შელაჰი, ამსალემი, ზეითუნი, მილენკო, ატარი (ბენ შიმონი 61), როსო, ნისიმი (სივილია 71), ტურჯემანი
აიაქსი: გრიმი, ნიუვენბურგი, ვერლაატი, ვინტერი, ჩივუ, ობრაიენი, ვიჩგე, კნოპერი, ლაუდრუპი (გრონკიაერი 63), ვამბერტო, მახლასი (შ. არველაძე)

**ვერდერი (გერმანია) 0:0 ვიკინგი (ნორვეგია)**

**როდა (ჰოლანდია) 0:0 ვოლფსბურგი (გერმანია)**

**სტიაუა (რუმინეთი) 2:0 ვესტ ჰემი (ინგლისი)**

1:0 როსუ (41), 2:0 ს. ილიე (58)

**მტკ (უნგრეთი) 2:1 აეკ (საბერძნეთი)**

1:0 ეგრეში (20), 2:0 ეროში (30), 2:1 ჩირიჩი (61)

**ლევსკი (ბულგარეთი) 1:3 იუვენტუსი (იტალია)**

0:1 ოლისე (24), 0:2 კოვაჩევიჩი (53), 1:2 იუფუ (55), 1:3 კოვაჩევიჩი (89)

**პარმა (იტალია) 1:0 ჰელსინგბორგი (შვედეთი)**

1:0 კანავარო (44)

**ინტერი (სლოვაკეთი) 0:3 ნანტი (საფრანგეთი)**

0:1 სიბიერსკი (25პ), 0:2 და როშა (35), 0:3 კარიე (86)

**გრაცერი (ავსტრია) 2:1 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)**

1:0 ლიპა (57), 1:1 სიპნიევსკი (64), 2:1 პამიჩი (80)

**ატლეტიკო (ესპანეთი) 1:0 ამიცა (პოლონეთი)**

1:0 ბარახა (84)

**ანდერლეხტი (ბელგია) 2:1 ბოლონია (იტალია)**

1:0, 2:0 კოლერი (20, 40), 2:1 სინიორი (90)

**სლავია (ჩეხეთი) 3:1 გრასჰოპერი (შვეიცარია)**

1:0 ულიხი (20), 1:1 იაკინი (23), 2:1 კუხარი (39), 3:1 ულიხი (50)

**პაოკ (საბერძნეთი) 1:2 ბენფიკა (პორტუგალია)**

0:1 ნუნუ გომეში (68), 1:1 ფრანცესკოსი (81), 1:2 რონალდო (90)

**ვიძევი (პოლონეთი) 1:1 მონაკო (საფრანგეთი)**

1:0 ვიხნიარეკი (5პ), 1:1 ჟული (39)

**გიოტებორგი (შვედეთი) 0:2 რომა (იტალია)**

0:1, 0:2 მონტელა (36, 51)

**ტეპლიცე (ჩეხეთი) 1:2 მალიორკა (ესპანეთი)**

0:1, 0:2 დიეგო ტრისტანი (28, 32), 1:2 ვერბირი (67)

**ლიონი (საფრანგეთი) 1:0 სელტიკი (შოტლანდია)**

1:0 ს. ბლანი (64)

# ლიდსის რეკორდი და ლარსონის მოტეხილი ფეხი




ლიდსი — ლოკომოტივი 4:1. მაიკლ ბრიჯესი (მარცხნივ) და ალან სმიტი მოსკოველთა კარში მესამე გოლს ზეიმობენ

უეფას თასის მეორე ეტაპს ხუთი ქართველი ფეხბურთელი შემორჩა. მათგან ერთს, ნიუკასლელ თემურ ქეცბაიას წუხელ ტრავმის გამო არ უთამაშია. შოთა არველაძე შეცვლაზე შეიყვანეს და ბურთის გატანა არ დასცალდა, თუმცა მისმა „აიაქსმა“ ყველაფერი პრაქტიკულად ჰაიფაშივე მოაგვარა. გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხი“ კი, ალბათ, ტურნირს ამ ეტაპზე დაამთავრებს.

„ციურიხი“ უქეცბაიო „ნიუკასლს“ მასპინძლობდა და 9 600 მაყურებლის წინაშე პირველ ტაიმში ღირსეულადაც იბრძოდა. მაგრამ მეორეში, ინგლისელების შესამჩნევად მაღალმა კლასმა თავისი გაიტანა და ეს უპირატესობა ანგარიშშიც გამოიხატა. ცხრა წუთის განმავლობაში სილვიო მარიჩმა და ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ალან შირერმა ორჯერ დაამწუხრეს მასპინძლები. მალევე ციურიხელმა პასკალ კასტილიომ ერთი გაქვითა, მერე შვეიცარიელთა სამხრეთაფრიკელ შონ ბარტლეტსაც მიეცა თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ გოლი აღარ გასულა, 1:2 და „ნიუკასლი“ ცალი ფეხით მესამე ეტაპზე, ჯამარაულმა და ყაველაშვილმა შეუცვლელად ჩაამთავრეს მატჩი. აი, თემურ ქეცბაია კი, როგორც ჩანს, საპასუხო შეხვედრასაც გამოტოვებს.

ირლანდიელი მენეჯერის დევიდ ოლირის ახალგაზრდულმა და ამბიციურმა „ლიდსმა“ შესანიშნავი სანახაობა უჩვენა მშობლიურ „ელანდ როუდზე“ შეკრებილ 37 814 მაყურებელს, ზედიზედ მეათე თამაში მოიგო და ამით 1931 წელს დამყარებული თავისი რეკორდი დაამხო. რუსებს კი ბოლოდროინდელი „შავი დროება“ გაუგრძლა — ჯერ იყო ნაკრების წარუმატებლობა უკრაინასთან, მერე „სპარტაკის“ წაგება ფრანგულ „ბორდოსთან“ და აი, ახლა „ლოკომოტივის“ განადგურება. ეგაა, ამ წნეხში ჩვენი ზაზა ჯანაშიაც მოჰყვა. ინგლისური მედიის ცნობით, გუშინ ქართველმა მძიმედ დაიწყო შეხვედრა, მაგრამ თანდათან გააქტიურდა, რამდენიმე კარგი გარღვევა და პასი შეასრულა, სანამ არ შეცვალეს. მერე კი... ორჯერ ლი ბოუერმა, ალან სმიტმა და ჰარი კიუელმა რკინიგზელთა მეკარე რუსლან ნიგმატულინს ოთხჯერ გამოატანინეს ბურთი კარიდან და დმიტრი ლოსკოვის საჯარიმოდან გატანილი ერთადერთი საპასუხო, აბა, რისი მაქნისი იქნებოდა.

ჰაიფაში, „ჰაპოელ“ — „აიაქსის“ შეხვედრაში ბერძენმა ნიკოს მახლასმა დასაწყისშივე დააწინაურა სტუმრები. მალე ამას რიხარდ კნოპერის მეორე გოლი მოჰყვა. მეორე ტაიმის მეთერთმეტე წუთზე ბრაიან ლაუდრუპმა მესამეც შეაგდო და ამით, საპასუხო მატჩი, ფაქტობრივად, ფორმალობად აქცია. როგორც ზემოთ ვთქვით, შოთა არველაძე მეორე ნახევარში გამოჩნდა მინდორზე ნიკოს მახლასის მაგიერ.

სხვა მატჩებიდან საინტერესო იყო უეფას თასის მფლობელის „პარმას“ შეხვედრა შვედურ „ჰელსინგბორგთან“. იტალიელებმა მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლეს. პირველი ტაიმის ბოლსწინა წუთზე არგენტინელი არიელ ორტეგას კუთხურიდან ჩაწოდებულს მცველმა ფაბიო კანავარომ თავი შეაგება და სტუმართა მეკარე სვენ ანდერსონმა ბურთი მხოლოდ კარშიღა დაინახა. უჩვეულოა, მაგრამ წვიმიან „ენიო ტარდინის“ სტადიონზე მხოლოდ 3 530 მაყურებელი მივიდა.

ტურნირის კიდევ ერთმა ფავორიტმა, ტურინის „იუვენტუსმა“ სოფიაში „ლევსკის“ 3:1 მოუგო, თანაც მასპინძლებს მე-16 წუთიდან კაცნაკლული ეთამაშებოდა. მსაჯმა ორი ყვითლის გამო ჯონათან ბაკინი გააძევა. რიცხობრივი თანაფარდობა 78-ე წუთისთვის აღდგა, როცა ასევე ორი გაფრთხილებისთვის მინდვრიდან „ლევსკის“ მცველი პრედრაგ პაზინი დაითხოვეს. საინტერესოა, რომ პორტუგალიელმა არბიტრმა მონტეირო კოროატომ ერთი ხნით თამაშიც შეაჩერა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კუთხურის ჩასაწოდებლად წასულ ტურინელ არგენტინელს ხუან ესნაიდერს წყლით სავსე პლასტიკური ბოთლი მოხვდა ტრიბუნიდან.

გუშინდელ დღეს ერთი ცნობილი ფეხბურთელიც შეეწირა. „ლიონ“ — „სელტიკის“ მატჩის მე-15 წუთზე მასპინძელ სერჟ ბლანთან შეჯახებისას „სელტიკის“ შვედმა ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა ფეხი მოიტეხა. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, თავდამსხმელს ძვალი ორ ადგილას გადაუტყდა. მოგვიანებით კი იმავე სერჟ ბლანმა შეხვედრის გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

**სოლომონ გულისაშვილი**




ლიონი — სელტიკი 1:0. მასპინძელთა გამარჯვების გოლის გამტანმა სერჟ ბლანმა (მარჯვნივ), სტუმარი ჰენრიკ ლარსონი წააქცია და...




...გლაზგოელთა შვედ ფორვარდს ფეხი ორ ადგილას გადაუტყდა

# ფედერაციას მერანიც აუჯანყდა

ქართულ ფეხბურთში ახალი სკანდალის სუნი ტრიალებს. თბილისის „მერანი“ ეროვნული ჩემპიონატის მიტოვებით იმუქრება. მიზეზი მერვე ტურში სამტრედიის „იბერიასთან“ საშინაო მატჩში მომხდარი ინციდენტია. ალბათ გახსოვთ, ამ შეხვედრის მთავარმა მსაჯმა ალექსანდრე კრიჭაშვილმა უხეში შეცდომა დაუშვა — სრულიად უდანაშაულო პაატა ლურსმანაშვილი მინდვრიდან გააძევა.

„77-ე წუთი მიმდინარეობდა, პაატა ლურსმანაშვილი სამტრედიელთა კარისკენ დაიძრა. საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მას ფეხებში მიქელთაძე ჩაუვარდა და ბურთი წესების დარღვევით აართვა. მიქელთაძეს დავითაშვილი მივარდა და ბურთისთვის ბრძოლისას ფეხში გამეტებით ჩასცხო. კრიჭაშვილმა ვერაფერი დაინახა და თამაში გააგრძელა. სამტრედიელებმა ბურთი აუტში გადააგდეს, წაქცეულ მიქელთაძესთან მისულ არბიტრს კი რაღაც უთხრეს. კრიჭაშვილი ფეხბურთელთა ნათქვამს ენდო, შემობრუნდა, პაატა ლურსმანაშვილს დაუძახა და ყვითელი ბარათი უჩვენა, რასაც უმალ წითელი მოაყოლა“ — ეს მონაკვეთი 19 ოქტომბრის „სარბიელში“ დაბეჭდილი „მერანი“ — „იბერიას“ მატჩის მიმოხილვიდანაა.

მაშინ, როცა კრიჭაშვილს სამტრედიელები უნდა დაეჯარიმებინა, ანაც უკიდურეს შემთხვევაში დავითაშვილი გაეფრთხილებინა, გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო და ლურსმანაშვილი გააძევა. ამან კი მატჩის შედეგზე იქონია გავლენა. „მერანმა“ ძალიან საჭირო ორი ქულა დაკარგა. ტრანსპორტელები თამაშის შემდეგ აღელვებულნი იყვნენ, მსაჯის ცემითაც იმუქრებოდნენ, თუმც საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

ისევ 19 ოქტომბრის „სარბიელი“: „მატჩის ოქმში პაატა ლურსმანაშვილის გაფრთხილებას თვალი ვერ მოვკარით. მსაჯს ბარათები აერია, პირდაპირ წითელი უნდა ეჩვენებინაო, ცოტა უცნაურად აგვიხსნა ყოველივე გია ძამუკაშვილმა, რომელმაც თავად ლურსმანაშვილიც დაამშვიდა, პირობას გაძლევთ, დისკვალიფიკაციას არ მოგცემთო.“ მაგრამ... ფედერაციაში მისულ დელეგატს აღარც გახსენებია ფეხბურთელისთვის მიცემული სიტყვა. უფრო სწორად — ფეხბურთელი მოვატყუე, სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი. „სინათლიდან“ უვნებლად თავს ვერ დავიძვრენდითო — როგორც შევიტყვეთ, სწორედ ასე აუხსნია ძამუკაშვილს თავისი პირობა. ეს, სხვათა შორის, თავად ლურსმანაშვილმაც ივარაუდა, ვიცი, ახლა ჩვენს დასაწყნარებლად ამბობს ასე, თორემ ფედერაციაში რომ მივა, სხვანაირად აჭიკჭიკდებოდაო — თქვა მერანელმა. როგორც ხედავთ, მისი ვარაუდი გამართლდა.

ახლა პაატა ლურსმანაშვილის მონაწილის ბარათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის ოთახში დაუდევს ბინა. მის გარეშე კი ფეხბურთელს მინდორზე გასვლის უფლება არ აქვს. ასე რომ, ლურსმანაშვილი მეცხრე ტურის ხვალინდელ მატჩში ხობთან ალბათ ვერ ითამაშებს, თუმცა რა თამაშზეა ლაპარაკი, ეს შეხვედრა შესაძლოა, სულაც ჩაიშალოს.

თუ ლურსმანაშვილს ხობელებთან თამაშის ნებას არ დართავენ, ის მატჩი საერთოდ არ გაიმართება. ამდენ უსამართლობას ვერ ავიტანთ, „მერანი“ ჩემპიონატს მიატოვებს — ეს სიტყვები ტრანსპორტელთა ტექნიკურ დირექტორ ანზორ მამალაძეს ეკუთვნის.

ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ლურსმანაშვილის ბედი სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის სხდომამ უნდა გადაწყვიტოს. მისი გამართვის თარიღი კი ფედერაციას ჯერაც არ დაუდგენია. სტკ-ს გარეშე ფეხბურთელის მონაწილის ბარათს ვერ დავაბრუნებთო, ამ აზრზეა ფედერაცია.

ასე რომ, თუ ამ ერთი დღის განმავლობაში ორივე მხარე თავისაზე დადგა, ხვალინდელი მატჩი — „მერანი“ — „ხობი“ არ შედგება. მერანელები მინდორზე არ გავლენ, ეს კი ჩემპიონატიდან კლუბის ავტომატურად მოხსნას ნიშნავს, თუმცა ავჭალელები მონაწილეობაზე ისედაც უარზე არიან.

მოკლედ ასეა, მსაჯის დაუდევარმა საქციელმა აქამდე მიგვიყვანა. სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტისა კი მართლაც გასაკვირია, მისი სხდომა თითქმის ყოველი ტურის შემდეგ იმართება, ახლა კი... ლურსმანაშვილმა თუ სხდომის ჩატარებამდე გამოტოვა მატჩები, მერე კომიტეტის გადაწყვეტილებას რა აზრი ექნება? უდანაშაულო პაატა ლურსმანაშვილი (და მასთან ერთად „მერანი“) კი ტყუილუბრალოდ დაისჯება.

**ვანო ოქროპირიძე**



ოთარ როსტიაშვილი „მერან“ — „იბერიის“ მსაჯებს, ზურაბ დოლიძეს და ალექსანდრე კრიჭაშვილს სამართალს თხოვს

ევროპის თექვსმეტწლამდელთა ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. II ტური
22 ოქტომბერი. 13 საათი. თბილისი. შევარდენი. 3 000 მაყურებელი

## ბულგარეთი — საბერძნეთი

მსაჯი: პ. მაკეონი (ირლანდია) დელეგატი: ფ. კოლოსი (რუმინეთი) დამკვირვებელი: ანგონესი (იტალია)



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გუშინწინ „შევარდენზე“: ზდრავკო პოპოვიჩის (№10) ხორვატიამ ბულგარეთი ამოატრიალა

ევროპის თექვსმეტწლამდელთა ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. II ტური
22 ოქტომბერი. 16 საათი. თბილისი. ეროვნული. 75 000 მაყურებელი

## ხორვატია — საქართველო

მსაჯი: ზ. საბო (უნგრეთი) დელეგატი: ფ. კოლოსი (რუმინეთი) დამკვირვებელი: ანგონესი (იტალია)

# ქართველების ბოლო შანსი

თბილისი რომ თექვსმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ შესარჩევ ეტაპს მასპინძლობს ხომ ბევრისთვის ცნობილია. ჰოდა, ამდენი წაგებებისგან გულგაწვრილებული ქართული ფეხბურთის ქომაგი, მაინც დადის „შევარდენისა“ და ეროვნულ სტადიონებზე, ზოგან ნაკლები, ზოგანაც გაცილებით მეტი.

ქართველმა თექვსმეტწლამდელებმა წააგეს ტურნირის სადებიუტო მატჩი ბერძენ თანატოლებთან. ამით ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მოხვედრის შანსი მინიმუმამდე შეამცირეს. სანამ შეჯიბრების მონაწილეთა მეორე ტურის შესაძლო შედეგებზე ანუ ვინ მოიგებს და ვინ ფრეს ითამაშებს, მოგახსენებდეთ, მანამ ერთ დეტალზე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო.

ხორვატები, ბერძნები და ბულგარელები, მართალია, სხვადასხვა სართულებზე, მაგრამ ერთ სასტუმროში, „აჭარაში“ არიან დაბინავებულნი. სამი დღეა, მათ ვაკვირდები. მათთვის მე ჟურნალისტი კი არა, „აჭარის“ ჩვეულებრივი მობინადრე ვარ. მეც ახლოს არ ვეკარები, შორიდან ვუცქერ.

სასტუმროს ფოიეში დააბიჯებენ ბავშვური სახისა და გამომეტყველების მქონე კაცები. ხშირად ეჭვი მეპარება, რომ ისინი თექვსმეტი წლისანი არიან (იქნებ ასეცაა).

მათ სიანცეს ვერ შეამჩნევთ, მათ ხუმრობასაც კი სერიოზულობის ელფერი დაჰკრავს. ჩამოსხდებიან და ფეხბურთზე საუბრობენ, ანაც მათთან მოტრიალე მწვრთნელების დარიგებებს ისმენენ.

დადიან ერთნაირ სამოსში გამოწყობილები, ფიქრიანი თვალებით და იციან (სისხლში აქვთ გამჯდარი), რომ თავიანთი ქვეყნის ღირსებას იცავენ. მე კი შურით შევცქერი მათ, რადგან ვხედავ, რომ ჯერაც ახალგაზრდები უკვე პატრიოტებად და პროფესიონალებად ჩამოყალიბებულან.

ჩვენები, განა ჩვენებმა არ იციან რომ ნაკრების მაისურის მორგება დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ მოწინაალმდეგესთან შედარებით აშკარად ბავშვები არიან. როგორია, ფეხბურთში კაცები ბავშვების წინააღმდეგ. ამიტომაც ვერ გავლენ ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე რევაზ გაგუას თექვსმეტწლამდელები. ეს ამბავი სამწუხაროა ჩვენთვის, მაგრამ კანონზომიერიც გახლავთ. სიმართლეს ვერსად დაემალები, სიმართლეს თვალებში უნდა ჩახედო.

მგონი, ჩვენი თექვსმეტწლამდელების საქმე ისეა, წყალწაღებული რომ ხავსს ეჭიდებოდა, მაგრამ იმედი ხომ ბოლოს კვდება. ამიტომაც განაცხადა რევაზ გაგუამ, ხელის ჩაქნევას სულაც არ ვაპირებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთო.

დღეს ქართველები ეროვნულზე ხორვატებს ეთამაშებიან. ჩვენების პერსპექტივები ფაქტობრივად ნულის ტოლია. მართალია, გაგუა შემადგენლობაში და ტაქტიკურ მონახაზში ცვლილებების მოხდენას აპირებს, მაგრამ...

ხორვატები პირიქით, ჩინებულ განწყობაზე არიან. მათ სადებიუტო მატჩი მოუგეს ბულგარელებს. გარდა ამისა, გუნდს ჩამოყოლილმა ვიდეოოპერატორმა საბერძნეთი-საქართველო ფირზე აღბეჭდა. ხორვატთა თავკაცმა კი, დარწმუნებული ვარ, ქართველთა (ალბათ ელინელთაც) ავ-კარგი გადაალეჭინა თავის ბიჭებს.

წესისა და რიგის მიხედვით, დღეს ხორვატებმა უნდა მოიგონ. ეს იმიტომ, რომ ჩვენების მოწინააღმდეგე ერთი თავით მაღლა დგას.

თუ სასწაული მოხდა და ქართველებმა შეუძლებელი შეძლეს, მაშინ... იმედის სანთელი არ ჩაქრება, მაგრამ, ვიმეორებ, ქართველთა მაქსიმუმი დღეს ფრე იქნება.

ბერძნები ბულგარელთა დაჩაგვრას შეეცდებიან და ეს აზრი სულაც არ იქნება საფუძველმოკლებული. ბულგარელებთან შედარებით, ელინები უფრო დალაგებული, გამოცდილი და მიზანმიმართული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ბულგარელების ერთადერთი იმედი მეკარე ვირენ უზუნოვი და ხეირიანი თავდაცვა იქნება. ბალკანებს უზუნოვისა ტყუილად როდი ეიმედებათ. მათი მეკარე მართლაც ჩინებულად ირჯება, მაგრამ დაცვისა რა გითხრათ. ისინი მთლად დალაგებული სათამაშო რგოლის შთაბეჭდილებას ვერ ტოვებენ.

ბერძნები კი საკუთარი პირობების კარნახს შეეცდებიან და, ალბათ, მოახერხებენ კიდეც. მათ იციან საჭიროებისამებრ ტემპის რეგულირება.

ისე, ჩემი ნება რომ იყოს, თბილისში მოასპარეზე ოთხეულს შემდეგნაირად გავანაწილებდი — ხორვატია, საბერძნეთი, ბულგარეთი და, რა თქმა უნდა, ბოლოში საქართველო. ძნელად შესაგუებელი აზრია, მაგრამ იგი სრულად ასახავს ქართული ფეხბურთის დღევანდელ ყოფას.

**მამუკა კვანტალიანი**



ფედერაციის თავკაცებს ქართული ფეხბურთის აღორძინება ძალიან გაუჭირდებათ

# თევზი თავიდან ყარსო...

სამიოდ კვირის წინ ერთმა ქართველმა საფეხბურთო მწვრთნელმა შემდეგი ფრაზა წამოისროლა — დამნიშნეთ იტალიური „რომას“ თავკაცად, ფაბიო კაპელოს ჩააბარეთ ჩემი გუნდი, შეგვაჯიბრეთ ერთმანეთს და ვნახოთ, ვინ მოიგებსო.

ის მწვრთნელი გუშინწინ ეროვნულ სტადიონზე ქართველ თექვსმეტწლამდელთა წვალებასაც უცქერდა. ჩვენებმა რომ წააგეს, ჩვეულებისამებრ გაიცინა, ხელები გაშალა და კიდევ ერთი საუკუნის ფრაზა წარმოთქვა — შეხედეთ, რა დღეშია ქართული ფეხბურთი, ამის შემდეგ მომთხოვენ, „ბარსელონას“ მოუგეო.

ეს კაცი მხოლოდ ერთ რამეში იყო მართალი, ქართული ფეხბურთი მართლაც შავ დღეშია, მაგრამ აზრად არ მოსვლია, ეღიარებინა, რომ ფეხბურთის მისიკვდილებაში მასაც გვარიანი წვლილი მიუძღოდა.

ნეტავ, რა მოხდებოდა მაშინ, „რომას“ პატრონებს მსგავსი როქი რეალობად რომ ექციათ. რა თქმა უნდა, ფაბიო კაპელო სასწაულმოქმედი არ გახლავთ და „რომაც“ თავისუფლად მოუგებდა ქართულ გუნდს. ამაში გასაკვირიც არაფერია და იმ მოგებას ქართველი მწვრთნელი ვერაფრით ჩაიწერდა აქტივში, მაგრამ...

მოდით, რახან უტოპიურ ექსპერიმენტზე ვოცნებობთ, ბარემ ერთიც ვთქვათ — რა იქნებოდა, ზემოაღნიშნული როქიდან სამი თვის თავზე რომ შეგვეხვედრებინა ქართულ-იტალიური გუნდები?!

რა და, „რომა“ ცხვრის ფარას უფრო ემგვანებოდა, ვიდრე ფეხბურთის გუნდს, ხოლო ქართველები სასწაულებს ჩაიდენდნენ მინდორზე. ეს ისეთი ფაქტია, რომელიც კასაციას არ ექვემდებარება და ვისაც არ სჯერა, მან ფეხბურთის ავ-კარგი არ იცის.

„ბარსელონას“ მოუგეო, არავინ სთხოვდა იმ მწვრთნელს. კატალონიელთა ძლევას არსენ ვენგერს სთხოვდნენ, მაგრამ ვერ შეძლო.

ვენგერმა უკვე იცის, სად და როდის დაუშვა შეცდომა და დარწმუნებული ვარ, იგი მას მეორედ არ გაიმეორებს. ამაშია ფრანგის დიდი უპირატესობა, ამიტომაც გახლავთ ცნობილი, პროფესიონალი მწვრთნელი.

რას იზამდა ჩვენებური სპეციალისტი მსგავს სიტუაციაში? რას და განტევების ვაცს წამსვე გამოძებნიდა — დევიდ სიმენი (ერთხელაც ვერ გადაგვარჩინაო), ტონი ადამსი (მისმა შეცდომებმა დაგვღუპაო) და მსაჯი, რომელმაც „არსენალის“ კარში პენალტი დანიშნა, ხოლო „ბარსელონას“ თავზე ხელი გადაუსვა.

„ბარსელონასა“ და „არსენალს“ რა უჭირთ, ჩვენ ჩვენი სატკივარისა ვთქვათ. საქართველოში არ გვყავს მწვრთნელი. უფრო სწორად, ასეთი მხოლოდ ერთი ვიცი და დარწმუნებული ვარ, მალე იტყვის თავის სიტყვას.

მწვრთნელები რომ იყვნენ, ასეთ შავ დღეში არ იქნებოდა ბავშვთა ფეხბურთი. კლუბებზე არაფერს ვამბობთ. დღეს ვისაც არ ეზარება, ყველა ბავშვთა და მოზარდთა გუნდებს აყალიბებს. იქნებ ამაში ცუდიც არაფერია, მაგრამ ის ხომ სიმართლეა, რომ დილეტანტი ფეხბურთელს ვერ გაზრდის.

ქაოსი სუფევს ბავშვთა ფეხბურთში. როგორ უნდა დაიჯერო კაცმა, რომ საქართველოში ვერ მოიძებნა თერთმეტი თექვსმეტწლამდელი, რომლებიც ბერძენ თანატოლებს ტოლ-სწორად გაეჯიბრებიან. არიან, როგორ არა, მაგრამ საქმეში დარდიმანდობა, ნაცნობობა, ძმაკაცობა ერევა (ქართველები არა ვართ?!) და მერე ყველაფერი საწუწუნო ხდება.

ბერძნებმა გადაზრდილები ჩამოიყვანესო — ბევრი ჩიოდა გუშინწინ ეროვნულზე. ჩივილი საქმეს ვერ უშველის, სადაა ფეხბურთის ფედერაცია, შესაბამისი სამსახურები. მოზარდის ასაკი ხომ ადვილი დასადგენია. ამას ცოდნა და შრომა უნდა. მაგაზე კი ბოდიში. ასეთ შანსს რომ ხელიდან გაუშვებ, შინაურ კედლებში გამარჯვებას სხვას რომ გაატან, სტუმრად რა იმედი უნდა გქონდეს.

მწვრთნელი არა, აწმყო არა, მომავალი არა, რა თქმა უნდა, ფეხბურთიც არა.

ვინ არის ამაში დამნაშავე?

ნათქვამია, თევზი თავიდან ყარსო. უბედურებაც მუდამ სათავეშია საძიებელი და ქართული ფეხბურთის ბოლოდროინდელი წარუმატებლობებიც ფეხბურთის ფედერაციის ნაკლოვან მხარეებზე მიგვანიშნებს.

აბა, რომელი გიჟი იტყვის, ხელისშემშლელ მომენტებს ვერ ვხედავო. სხვას რომ თავი ვანებოთ, ქვეყანამ, მთლიანად სახელმწიფომ აქცია ზურგი ფეხბურთს. ან რა ეფეხბურთებათ, როცა ხელთ დაქუცმაცებული ქვეყანა და გაჭირვებული ხალხი შერჩენიათ. მით უმეტეს, ახლა არ მოიხედავენ ფეხბურთისკენ, კარს არჩევნებია მომდგარი, სპორტისთვის არავის სცხელა.

ვერც იმას გავამართლებთ, ფედერაციამ მუდამ ყადაღადადებულ ანგარიშზე იტიროს და გამოსავალი ვერ გამოძებნოს. ბოლო დროს ბევრს საუბრობენ ფეხბურთის ფედერაციაში არსებულ დაპირისპირებებსა თუ განხეთქილებებზე. ციხე მუდამ შიგნიდან ტყდება და თუ ეს ასეა, ქართული ფეხბურთის დღევანდელ ხელმძღვანელებს არსებული კრიზისიდან თავის დაღწევა გაუჭირდებათ. განა მარტო ფეხბურთი, სპორტია საშინელ დღეში. ადრე ჩემპიონების თვლას ვერ აუდიოდნენ, ახლა...

წიწილებს ყველა შემოდგომაზე ითვლის, ქართული სპორტის მამებს კი ყოველ შემოდგომაზე დასათვლელი უმეჩხერდებათ. თუ ასე გაგრძელდა, მალე არც არაფერი იქნება საანგარიშო. ამისთვის კი პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად, პასუხი ქართული სპორტის მამებს მოეთხოვებათ.

**მამუკა ქვანტალიანი**

# მეუვსი შეყილაძით კმაყოფილია

საქართველოს ნაკრების მცველი გელა შეყილაძე, რომელმაც ბელგიის ჩემპიონატს ბოლო ტურის მატჩი ლიეჟის „სტანდარტთან“ მცირე ტრავმის გამო გამოტოვა, კვლავ გამოჩნდა „ლიერსის“ რიგებში.

„ლიერსის“ თავკაცმა ვალტერ მეუვსმა შეყილაძე ბელგიის თასის მეთექვსმეტედფინალში მესამელიგელი „ტორჰოუტ 1992“-ის წინააღმდეგ გამოიყვანა. ბელგიის ჩემპიონატის ლიდერმა დაბალი კლასის მეტოქე არ დაინდო და 6:1 გაანადგურა.

მე-9 წუთზე ანგარიში ჰიუსგემსმა გახსნა, ორ წუთში კი კლუბის ბომბარდირმა კავენსმა მეორეც გატანა. 29-ე წუთისთვის „ლიერსი“ უკვე 3:0-ს იგებდა. გოლი სომერსის ანგარიშზეა. „ტორჰოუტმა“ ტაიმის ბოლომდე მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლო. დონდტმა 44-ე წუთზე დალაშქრა „ლიერსის“ კარი.

3400 მაყურებელმა მეორე ტაიმში კიდევ სამი გოლი იხილა. შეცვლაზე შესულმა პიილმანმა (დუბლი) და მეორე გოლის ავტორმა კავენსმა ანგარიში კატასტროფული გახადეს.

მატჩის შემდეგ ვალტერ მეუვსმა კმაყოფილებით აღნიშნა დაცვის კარგი თამაში და განსაკუთრებით ვან მეიერი და შეყილაძე გამოარჩია.

„ლიერსმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ნუსი, ლირემანსი, ჰუფკენსი, ვან მეიერი (დე კეისერი 76), შეყილაძე, სნოქსი, სომერსი, ვან დერ ვეიერი (ვანდერაუსტერი 69), კავენსი, ჰიუსგემსი (პიილმანი 46).

შეგახსენებთ, რომ „ლიერსი“ ბელგიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია, 22 ქულა აქვს და მეორეზე მყოფ „ანდერლეხტს“ 2 ქულით უსწრებს.

**სიმონ მენაბდე**

# რეფეხბურთი — ახალი სიტყვა საფეხბურთო ლექსიკონში

მეოცე საუკუნის მიწურულს ქართველები საფეხბურთო ლექსიკონში ახალი სიტყვის დამკვიდრებას ცდილობენ და საკმაოდ წარმატებითაც. შორს არაა ის დრო, როცა სპეციალისტები და ჟურნალისტები ათლეტური, დინამიური და ტექნიკური ფეხბურთის გვერდით თამამად მოიხსენებენ რეფეხბურთს ანუ რელიგიურ ფეხბურთს. ბუნებრივია, ყოველი მათგანი თავის მშობლიურ ენაზე წარმოთქვამს ამ სიტყვას, მაგრამ უცილოდ ემახსოვრება მისი წარმომავლობის შესახებ. უცხო სიტყვათა ლექსიკონში კი მიუთითებენ — რეფეხბურთი პირველად საქართველოში იშვა. თავიდან მცირე მასშტაბებით გავრცელდა. საფეხბურთო კლუბის მიერ ცხვრის შეწირვითა და ეკლესიაში გუნდის დამოძღვრით ფეხბურთელებმა საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. მერე ეს ამბავი რუსეთის ჩემპიონატსაც მოედო. მავანმა ქართველმა ბომბარდირმა გოლების გატანის განახლების მიზნით შავი ცხვარი გაატყავა კლუბის ბაზაზე. ეგ არაფერი. იმავე გათამაშების (პირველი დივიზიონი) ბინადარმა ქართველების გუნდმა ღვთისმსახურებს უხმო ბოროტი ძალებისგან გასათავისუფლებადო.

რეფეხბურთის წარმოშობის პირველი ორი ფაქტის შესახებ „სარბიელის“ მკითხველს სრულად მოეხსენება, რაც შეეხება მესამე ამბავს, მისთვის არც ის უნდა იყოს უცხო. მე მხოლოდ შეგახსენებთ:

— სამი ღვთისმსახურის კი არა, აუცილებლად ხუთის მოწვევაზე უნდა ვიფიქროთ — ამბობდა სარატოვის „სოკოლის“ ქართველი პრეზიდენტი რომან ფიფია გუნდის გაავებულ გულშემატკივრებთან საუბრისას — კლუბის თავს ბოროტი ძალები დასტრიალებენ. სასულიერო პირებს უნდა მივმართოთ და მოედნის, ბაზის, მთლიანად გუნდისა და სტადიონის კურთხევა ვთხოვოთ... რაღაც საქმე არ აეწყო. ამას ძლიერ განვიცდი. მერწმუნეთ, თანხებთან ერთად მთელი გული და სული ჩავდე „სოკოლში“, მაგრამ შედეგი ვერ მივიღე. ეს უსამართლობაა — წერდა 19 აგვისტოს „სარბიელი“.

რომან ფიფია, რომელიც სათავეში უდგას ფირმა „ჰოლდინგის“ ერთ-ერთ კომპანია „ვოლგისპირეთის ხორბალს“, ძალიან შეწუხებული იყო თავისი გუნდის დაღმასვლის გამო. ეს ლაპარაკი მასსა და ქომაგებს შორის, „სოკოლის“ პერმის „ამკართან“ შინ 1:3 დამარცხების შემდეგ მოხდა. არადა, სარატოველები ლიდერთა სამეულში მკვიდრობდნენ და უმაღლეს დივიზიონში აღზევებაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდნენ. შეხვედრამ კი კრიზისული პერიოდი კიდევ გაახანგრძლივა და გუნდმაც აშკარად დათმო პოზიციები. სხვათა შორის, პერმის „ამკართან“ მატჩი „სოკოლის“ ქართველი ფეხბურთელებისთვის ფატალურად უიღბლო გამოდგა. ზვიად ჯელაძეს ჩხუბი მოუვიდა მეტოქესთან, ძმის დასახმარებლად სათადარიგო გიზო ჯელაძე შევარდა მოედანზე... მინდორზე მყოფი მიხეილ ჯიშკარიანი კი მუშტებით გაუმასპინძლდა პერმელ გერაშჩენკოს და წითელი ბარათიც აუფრიალეს.

რუსეთის საფეხბურთო კავშირმა საკონტროლო სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე იმსჯელა „სოკოლი“ — „ამკარის“ მატჩის ინციდენტზე. ორივე კლუბი 5-5 ათასი მანეთით დააჯარიმა. მიხეილ ჯიშკარიანი, პირველი დივიზიონის ერთ-ერთ ბომბარდირი, 5 თამაშით მოკვეთეს.

აი, ასეთი სავალალო მდგომარეობა სუფევდა სარატოველთა გუნდში, რომლის პრეზიდენტმაც ღვთისმსახურების მიწვევა განიზრახა და...

მოდით, ვნახოთ ახლა რა მდგომარეობაა „სოკოლში“. აეხსნა ჯადო ქართულკლანჭებიან რუსულ შევარდენს, მაღლა-მაღლა ფრენს იგი და თანდათან უახლოვდება ელიტარული გუნდების საბუდარს.

ქართველების ამბავს არ იკითხავთ? 38-ე ტურში „სოკოლმა“ 4:2 მოუგო „ტომს“. ოთხივე ბურთი ჩვენებურებმა გაიტანეს. მიხეილ ჯიშკარიანმა ჰეთ თრიქი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში კვლავ მესამე საფეხურს დაუბრუნდა. ერთი გოლი გიზო ჯელაძემ ჩაიწერა ანგარიშზე.

ამ მოგების (ბოლო ტურებშიც) შემდეგ „სოკოლი“ კვლავ მესამე ადგილზე წამოსკუპდა და უმაღლეს დივიზიონში აღზევების კარგი შანსი აქვს.

იგრძენით რეფეხბურთის ძალა?

სხვათა შორის, რუსეთის პირველ დივიზიონს მახაჩკალის „ანჟი“ ლიდერობს. ამ გუნდში კი ჩვენებური ალექსანდრე გოგობერიშვილი თამაშობს. ალბათ გაინტერესებთ მახაჩკალაში რეფეხბურთის როგორ გამოვლინებას აქვს ადგილი. როგორც კი შევიტყობთ, მაშინვე მოგახსენებთ...

**ხვიჩა სანიკიძე**



მიხეილ ჯიშკარიანი რუსეთის უმაღლეს დივიზიონს უმიზნებს

## კოლხეთი გამოჯანმრთელდა

23 ოქტომბერს რუსთავში ადგილობრივი „გორდა“ „ბ“ ზონაში მეორე ადგილზე მყოფ ფოთის „კოლხეთს“ უმასპინძლებს.

როგორც „სარბიელისთვის“ გახდა ცნობილი, კოლხები მეტალურგთა ქალაქს გაძლიერებულნი ეწვევიან. საქმე იმაშია, რომ შესაძლოა წლეულს „კოლხეთის“ რიგებში პირველად ითამაშონ გუნდში მობრუნებულებმა. გამოჯანმრთელდნენ ტრავმირებული ფეხბურთელები — ნახევარმცველი გელა ფანჩულიძე და ფორვადი ელდარ გვასალია და მთელი დატვირთვით შეუდგნენ ვარჯიშს.

— ყველაფერი რიგზეა. მოთამაშეები ჯანმრთელად არიან. ფანჩულიძემ და გვასალიამ ჩვეული ფორმა დაიბრუნეს და, ალბათ, რუსთავში „გორდას“ წინააღმდეგ ითამაშებენ — განუცხადა „სარბიელს“ გუშინდელ სატელეფონო საუბარში „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ.

ფოთელები დღეს დილით თბილისისკენ გამოემგზავრებიან, სასტუმროში დაისვენებენ, ხვალ კი რუსთავში ჩავლენ.

„კოლხეთმა“ დასახული მიზანი — საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა, ფაქტობრივად გაინაღდა.

**გიორგი ვაშაკიძე**



ბადრი ქიტიაშვილის ფოტო

„კოლხეთს“ ტრავმამოშუშებული ელდარ გვასალიაც (მარჯვნივ) დაუბრუნდა

## ევროპამ ბელგიაში შეიკრიბა

22-დან 25 ოქტომბრის ჩათვლით ბრიუსელში უეფას ეგიდით ევროპის ქვეყნების მსაჯთა კომიტეტების ხელმძღვანელთა სემინარები ჩატარდება. საქართველოდან ბელგიაში გამგზავრების პატივი, ბუნებრივია, ანატოლი მილჩენკოს ერგო. სფფ-ს მსაჯთა კომიტეტის ხელმძღვანელი ბრიუსელს საშეჯიბრო კომიტეტის უფროს გია ფირცხალავასთან ერთად გაემგზავრა. ფირცხალავა ბენილუქსში ჩემპიონატების ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებულ სემინარებში მიიღებს მონაწილეობას.

— ბელგიაში მართლაც საინტერესო დღეები გველის, თუმცა სამუშაოც არ მოგვაკლდება: გავაანალიზებთ — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს, მსაჯების მიერ იქ დაშვებულ შეცდომებს, ერთმანეთს აზრს, გამოცდილებას გავუზიარებთ, დიდ ყურადღებას მივაქცევთ კარს მომდგარ ევროპის ჩემპიონატზე მსაჯთა შერჩევას და რაც მთავარია, დიდ დროს დავუთმობთ ჩვენს სტრუქტურაში სიახლეების დანერგვის მეთოდებს — გვითხრა ბრიუსელის გზაზე დამდგარმა სამსაჯო კომიტეტის თავკაცმა. ანატოლი მილჩენკო დაგვპირდა, სემინარში დაბრუნების შემდეგ სიახლეებს ჩვენს მსაჯობაშიც დავნერგო.

დასასრულ კი გაცნობებთ, რომ შედარებით მცირემასშტაბური სემინარები ნოემბრის ბოლოს საქართველოშიც ჩატარდება. მწვრთნელთა პროგრეს-კურსებს ბათუმი უმასპინძლებს, ხოლო მსაჯთა სემინარები ბორჯომში გაიმართება.

**პაატა ქვანტალიანი**

## ლევან მელქაძე იოლად გადარჩა

### დაცვა თბილისის საწუხარია

მერვე ტურის კალენდარული მატჩი „თბილისსა“ და „სიონს“ შორის მასპინძელთათვის მართლაც უიღბლოდ დასრულდა. „თბილისს“ ამ მატჩამდეც არ აკლდა პრობლემები და ბოლნისელებს ტრავმების წყალობით აბრამიძის, ხიზანიშვილის და ქემოკლიძის გარეშე დაუხვდა. ამ მატჩში დამარცხებულ მასპინძლებს საწუხარი სხვაც შეხვდათ. ერთ-ერთ ეპიზოდში „სიონის“ მეკარესთან თბილისელი ლევან მელქაძის შეყრა ამ უკანასკნელისთვის სავალალოდ დასრულდა. მელქაძეს მეტოქის ფეხი მოხვდა ხორხში და საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშიც აღმოჩნდა. ბუნებრივია, მისი ამბის გასაგებად „თბილისის“ მთავარ მწვრთნელ რამაზ მუმლაძეს დავუკავშირდით.

— საშიშროებამ უკვე გაიარა. როგორც იცით, ლევანი მაშინვე საავადმყოფოში გავაქანეთ, ექიმებმა გულდასმით გასინჯეს და ორდღიანი წოლითი რეჟიმი გამოუწერეს. იმ დღესვე ჩემი ავტომანქანით მივიყვანე სახლში, გუშინ კი მელქაძემ გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი „ბათუმის“ წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს — გვითხრა მწვრთნელმა.

„თბილისს“ პრობლემები „ბათუმთან“ პრინციპული მატჩის წინაც არ აკლია, მელქაძესთან ერთად ვარჯიში ქემოკლიძემ და აბრამიძემაც განაახლეს, თუმცა მათი თამაშიც ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი. რაც შეეხება ხიზანიშვილს, იგი კვლავაც ტრავმირებულია და შესაძლოა, „თბილისი“ — „დინამოს“ შეხვედრაშიც ვერ მიიღოს მონაწილეობა.

რამაზ მუმლაძეს კი ვეტერანი მცველის, მამუკა მაჭავარიანის იმედი აქვს. როგორც იცით, ეს ფეხბურთელი ცოტა ხნის წინ შეუერთდა პირველი ლიგის დებიუტანტებს. მაჭავარიანი „თბილისს“ პირველი ეტაპის ბოლომდე დაეხმარება.

**პაატა ქვანტალიანი**

## ზაზა ჯანაშიამ თეთრს შავი ამჯობინა



ბადრი ქიტიაშვილის ფოტო

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი ფორვარდი ზაზა ჯანაშია წუხანდელი უეფას თასის მატჩს ინგლისური „ლიდსის“ წინააღმდეგ სრულ მზადყოფნაში შეხვდა. ჯანაშია გასულ სამშაბათს რუსეთის თასის შეხვედრაში გივი ნოდიას სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივთან“ დაშავდა. მისი და პეტერბურგელთა კაპიტნის, მიხაელ მატვეევის შეჯახებას მძიმე შედეგი მოჰყვა. მატვეევი სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გააქანეს, ჯანაშიას კი თავი გაუტყდა და შვიდი ნაკერის დადება დასჭირდა. გუშინწინ, 20 ოქტომბერს, ლიდსში გამგზავრებამდე ჩატარებული ბოლო ვარჯიშის შემდეგ „ლოკომოტივის“ ექიმმა ალექსანდრე იარდოშვილმა ჩვენებურს ნაკერი მოხსნა.

შეგახსენებთ, ჯანაშიამ გასულ შაბათს მოსკოვის „სპარტაკთან“ ჩემპიონატის უპრინციპულეს მატჩშიც ითამაშა. მაშინ ექიმებმა ზაზას დასვენება ურჩიეს, თუმცა თავისი ხასიათით განთქმულმა ქართველმა მათი რჩევა ყურად არ იღო და თავშეხვეული მაინც გავიდა მინდორზე. სხვათა შორის, იმ მატჩის წინ ჯანაშიას თეთრი თავსახვევი მიუტანეს, თუმცა ზაზამ თავი მოიკლა, ეს ფერი არ მომწონს, გინდათ თუ არა, შავი მომიტანეთო. მოსკოვური კლუბის წარმომადგენლებიც იძულებულნი გახდნენ, მაღაზიაში გაქცეულიყვნენ და ჭირვეული ქართველის თხოვნა შეესრულებინათ.

და ერთიც. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ „ლოკომოტივს“ ტრავმირებული ფეხბურთელები აღარ ჰყავს. ბოლო ხანს ამ გუნდს დაშავებულ ფეხბურთელთა სიმრავლის გამო ლაზარეთიც შეარქვეს, თუმცა ექიმთა ძალისხმევით ამჟამად ყველა ჯანმრთელადაა.

**ვანო ოქროპირიძე**

## რაც იყო, იყო

### ხობს ისევ ფრიდონ გოცირიძე გაწვრთნის

ორიოდე დღის წინ ფრიდონ გოცირიძე „ხობის“ მთავარ მწვრთნელად აღადგინეს. ზედიზედ ოთხმარცხნაჭამი გუნდის უკვე ყოფილმა თავკაცმა, ჯონი აბაიშვილმა გაცლა ამჯობინა. როგორც იცით, აბაიშვილს ფეხბურთელებთან პრობლემები ჰქონდა, ხობში უკვე ბევრი ხმამაღლა გამოთქვამდა უკმაყოფილებას.

ჩვენი ვარაუდი გამართლდა, კლუბის ხელმძღვანელობას ვაკანტური ადგილის შესავსებად დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია — ნდობა უსაფუძვლოდ შერისხულ გოცირიძეს გამოუცხადა.

გოცირიძეს „ხობის“ პრეზიდენტი ანგული მიქავაც შეხვედრია. რაც იყო, იყო, დავივიწყოთ ძველი წყენა და საქმის გამოსწორებაზე ერთად ვიფიქროთო — უთქვამს პრეზიდენტს.

გოცირიძის რეაბილიტაცია ფეხბურთელებს ერთობ გახარებიათ. გუშინ მონდომებითაც უვარჯიშიათ და აწი ჩვენ ვიცითო, დაპირებიან მწვრთნელს.

„ხობი“ დღეს საღამოს გაემგზავრება „მერანთან“ სათამაშოდ და უშუალო კონკურენტთან შეხვედრაში გამარჯვებასაც გეგმავს. ვნახოთ, ყველაფერი ხვალ გაირკვევა. ფრიდონ გოცირიძისგან კი გარკვეულ სიურპრიზს ნამდვილად უნდა ველოდეთ. შეგახსენებთ, სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეძლეს დებიუტანტებმა, XI ჩემპიონატის პირველი სენსაცია მოეხდინათ — პირველივე ტურში „ხობმა“ სტუმრად „კოლხეთი“ დაამარცხა 3:2.

**თენგიზ ქოჩუა ხობიდან**



ბადრი ქიტიაშვილის ფოტო

„სიონთან“ მატჩისას დაშავებული ლევან მელქაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შფოთვა სამი წლით ადრე



მარტინ ედუარდსი

უნდა დარჩეს თუ არა სერ ალექს ფერგიუსონი კლუბში მას მერე, რაც ახლანდელი კონტრაქტის ვადა გაუვა? აი, კითხვა, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავმჯდომარეს — თუ ევროპულად ვთარგმნით პრეზიდენტს — მარტინ ედუარდსს 1999 წლის მიწურულს აღელვებს.

მისტერ ედუარდსს მოსაფიქრებლად სამი წელიწადი აქვს, ფერგის ხელშეკრულება სამი წლის მერე დაკარგავს ძალას.

თურმე სერ ალექსს დიდი სურვილი აქვს მერეც დარჩეს საყვარელ გუნდში, მაგრამ თავმჯდომარეს სხვა რამ აფიქრებს: როგორი იქნება ფერგიუსონის შემცვლელისთვის თავზე ამხელა ფიგურა რომ დაადგება?

„საკითხი ერთობ რთულია, ვინაიდან არის რამდენიმე გარემოება, რომელთაც გათვალისწინება ჭირდება. თუ ფერგიუსონი თავისი დიდებითა და აურით კვლავ კლუბში იტრიალებს, ახალი მწვრთნელისთვის დიდი ეჭვი მაქვს, რომ საოცარი დისკომფორტის მიზეზი შეიქნება. ეს ერთი და მეორეც: თავად სერ ალექსს ჭირდება ასეთი როლი? მისთვისაც ხომ ძალიან ძნელი იქნება იმასთან შეგუება, რომ გუნდშია, მაგრამ საქმეში აქტიურად ვერ ერევა. იგი პასიური ადამიანი არ გახლავთ და მგონი ძალიან გაუჭირდება, თუმცა ჯერ კიდევ გვაქვს სამი წელიწადი დასაფიქრებლად. უფრო საფუძვლიანად საკითხს მერე განვიხილავთ“ — განაცხადა ედუარდსმა.



დენის ბერხკამპი (№10)

# ბეკენბაუერი ფიფას თაფლავს

ბერმანიას მართლაც რომ სერიოზულად განუზრახავს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა. ამასთან დაკავშირებით ფიფამ საგანგებო კომისიაც კი გამოყო, რომელიც უახლოესი ხუთი დღის განმავლობაში გერმანელებს მასპინძლობისთვის მზადყოფნაში შეამოწმებს.

კომისია, რომელსაც ამერიკელი ალენ როტენბერგი მეთაურობს, ამ პერიოდში ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებს ეწვევა და იქაური სტადიონებისა თუ ინფრასტრუქტურის შესაბამის მომზადებას გააკონტროლებს. როტენბერგის განცხადებით, ისინი ამ ხუთდღიანი ვიზიტის დროს ესტუმრებიან მრავალ კომიტეტს და საფეხბურთო სტრუქტურას, გაესაუბრებიან ადგილობრივ გულშემატკივარს, მოაწყობენ პრესკონფერენციებს. ყველაფერი ამის შემდეგ კი შესაბამის დასკვნებს გამოიტანენ და ფიფას საგანგებო კომიტეტს წარუდგენენ განსახილველად.

უეჭველია, ამ პროცესს დიდი ინტერესით ადევნებს თვალს არა მარტო გერმანია, არამედ მთელი მსოფლიო. გერმანელი მაღალჩინოსნები და პოლიტიკური მოღვაწეები უკვე კარგა ხანია, ამ საკითხს განიხილავენ. თვით გერმანული ფეხბურთის ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერიც კი აქტიურადაა ჩაბმული ამ საქმეში. მისი აზრით, ფიფა მეტად გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ უპირატესობას გერმანიას მიანიჭებს. უპირატესობის მინიჭება კი ადვილი როდია. თავად განსაჯეთ: ინგლისი, ბრაზილია, სამხრეთ აფრიკა, მაროკო. ყველა მათგანი მასპინძლობის სურვილს გამოთქვამს.

ამ საკითხს კი კენჭისყრა გადაწყვეტს ფიფას აღმასრულებელ სხდომაზე, რომელიც გაისად, ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის დასრულებისთანავე, ივლისში გაიმართება.

**ნიკა შუბლაძე**




ფრანც ბეკენბაუერმა ალენ როტენბერგს „ბაიერნის“ მაისურა უსახსოვრა

# ყოყმანობს და ვერ გადაუწყვეტია

„არსენალის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი დენის ბერხკამპი ჩემპიონთა ლიგის B ჯგუფის შეხვედრაში „ბარსელონას“ წინააღმდეგ შეუდარებელი იყო, მაგრამ თამაშის მეორე დღეს განაცხადა, რომ ვერ გადაუწყვეტია რა ქნას მომავალში, მეთოფედ დარჩეს თუ ბედი ახალ გუნდში სცადოს.

ადრე ბერხკამპს ნათქვამი ჰქონდა, რომ მთელ კარიერას სიამოვნებით გაატარებდა „არსენალში“, ხუთშაბათის ინგლისურმა გაზეთებმა კი დაწერეს, რომ კაცი, რომელსაც კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე 18 თვე დარჩა, კლუბისადმი სამუდამო ერთგულებაში დარწმუნებული აღარ არის.

„ველარ გავარკვიე წასვლა მინდა თუ დარჩენა“ — უთქვამს 30 წლის ჰოლანდიელს — „ლონდონში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ შინ დავბრუნდები ან, სულაც, სხვა ქვეყანას მივაშურებ“.

გამოდის, რომ „არსენალის“ ფრანგ მწვრთნელს, არსენ ვენგერს, ჰოლანდიურ უსიამოვნებათა პერიოდი დაუდგა. ამბობენ, ერთი კვირის წინ ვენგერი მარჯვნივ და მარცხნივ იფიცებოდა მარკ ოვერმარსი ჩვენგან წასვლას არ აპირებსო. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე გაზეთის ცნობით, ოვერმარსიც ახალი გუნდის ძიებით ყოფილა გართული. სავარაუდოა, რომ ის რამდენიმე გაზეთი ასე ერთდროულად ვერ გამოიგონებდა აბსოლუტურ ტყუილს. ახლა კი ოვერმარსის ამბავს ბერხკამპის ჭრიჭინიც დაემატა.

ბერხკამპი „არსენალის“ ვარსკვლავთაგანი გახლავთ და კვირაში 20 ათას გირვანქას (33 350 დოლარი) ჯამაგირად იღებს. მართალია 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ხან კუნთი ატკივდა და ხანაც საზარდული, რამაც მის ფორმას დაღი დაასვა, მაგრამ თუნდაც ზემოხსენებული მატჩი, „ბარსელონას“ წინააღმდეგ, ადასტურებს, რომ პრობლემები წარსულს ჩაბარდა. იმ დღეს ფორვარდმა ნავსიც გატეხა და ბოლო 13 შეხვედრაში პირველი გოლი გაიტანა.

ნავსი კი გატეხა, მაგრამ როგორც გითხარით მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, წავალ თუ დავრჩები არ ვიციო. ეჭვიანმა კაცმა იქნებ იფიქროს, რომ ეს ხელფასის მომატებისთვის ბრძოლის ბერხკამპისეული — შეიძლება ოვერმარსისეულიც — მეთოდია.

აღსანიშნავი გახლავთ, რომ ბერხკამპის სანაკრებო კარიერა შეიძლება მალე დასრულდეს. მოგეხსენებათ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იაპონიასა და კორეაში ტარდება, ხოლო ჰოლანდიელს თვითმფრინავით მგზავრობის ეშინია. ამბობენ, მისმა ნაკრებმა იმ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება რომც მოიპოვოს, თავდამსხმელი შორეულ აღმოსავლეთში ვერ ჩავაო. ეტყობა, სახმელეთო ან საზღვაო ტრანსპორტით მოგზაურობა ხანგრძლივი და ერთობ ძვირ-რთული საქმეა. თან, თუ არ არსებობს, ბერხკამპისთვის ამსტერდამ-ტოკიოს სანაოსნო რეისს არავინ დანიშნავს.

# ესეც დერბია

## ჯენოა და სამპდორია სერია B-ში ხვდებიან ერთმანეთს

დღეს გენუაში დერბია: „სამპდორია“ „ჯენოას“ ხვდება. ასეთი მატჩი ხუთი წელიწადია არ გამართულა.

ერთი ქალაქის გუნდებს ერთმანეთთან როგორი დაპირისპირებაც აქვთ, საყოველთაოდ არის ცნობილი. გამონაკლისი არც გენუა გახლავთ და ამიტომაც ელიან 42 ათასიანი „ლუიჯი ფერარის“ შევსებას, მაგრამ ამ თამაშს ერთგვარი ნაკლიც სდევს — იგი სერია B-ს თამაშია.

დიახ, 19 წელიწადია ასეთი რამ არ მომხდარა: იტალიის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე საპორტო ქალაქი, რომელიც ქვეყანაში პირველი ეზიარა სნეულებას, ფეხბურთი რომ ჰქვია, სერია A-ში წარმომადგენლის გარეშეა დარჩენილი.

„სამპდორია“ სერია A-დან გასულ სეზონში გავარდა, „ჯენოა“ კი 1995 წლის მერე სერია B-ში გამოდის და ზემოთ დაბრუნება ვერ მოუხერხებია.

„დღეს შესაძლოა ჩვენი გუნდები ძველებურ სიმაღლეზე ვერ არიან და გენუელი მაყურებლისთვის ჩვეული ვარსკვლავებიც აღარსად ჩანან, მაგრამ თამაში მაინც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენთვის ეს წლის მთავარი მატჩი გახლავთ“ — ამბობს „სამპდორიას“ კარის მცველი მატეო სერენი.

„ჯენოა“ ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში ხშირად მოგზაურობს უმაღლესი დივიზიონიდან ქვევით და პირიქით, „სამპდორია“ კი სხვაა. გასულ სეზონში მისმა ლიგიდან გავარდნამ დიდი ეპოქა დაასრულა.

„სამპდორიამ“ იუგოსლავიელი ვუიადინ ბოშკოვის ხელმძღვანელობით (ბოშკოვი დღეს იუგოსლავიის ნაკრებს უდგას სათავეში) 1990 წელს თასების მფლობელთა თასი მოიპოვა, ხოლო შემდგომ წელიწადს პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად მოიგო ქვეყნის ჩემპიონის ტიტული — „სკუდეტო“.

გავარდნამ „სამპდორიას“ რამდენიმე სახელგანთქმული ფეხბურთელი დააკარგვინა. არგენტინელი არიელ ორტეგა „პარმაში“, ხოლო ვინჩენცო მონტელა — „რომაში“ გადავიდნენ.

გავარდნით გამოწვეული შოკი „სამპდორიას“ ჯერ არ გასვლია, „ჯენოა“ კი ბედს შეგუებული გახლავთ — სხვა თუ არაფერი, ჯილდო, კერძოდ იტალიის თასი, ბოლოს 1937 წელს მოიპოვა.

„მართალია, სერია A-ში დაბრუნება — არ დაბრუნების საკითხი ამ შეხვედრაში არ წყდება, მაგრამ გარემო და ატმოსფერო ისეთია, რომ აშკარად გვიბიძგებს უძლიერესთა ლიგაში აღზევებისკენ“ — დასძენს სერენი.

შეგახსენებთ, რომ „ბოლონიასთან“ ამასწინანდელი სათასო შეხვედრის დროს „სამპდორიას“ ქომაგებმა იხულიგნეს და მატჩი ჩაშალეს. რა მოხდება დერბის დროს?

# მსაჯებს მექსიკაშიც ერჩიან

სტადიონზე ინციდენტი მოხდა, რის გამოც მექსიკის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი მე-15 წუთზე შეწყდა. გულშემატკივარმა ტრიბუნიდან ბოთლი ისროლა. იგი გვერდით მსაჯს მოხვდა. ამის გამო მსაჯი ალფონსო აფალა სათადარიგო არბიტრმა შეცვალა. ეს შემთხვევა „ამერიკასა“ და „კრუს ასურის“ შეხვედრის დროს მოხდა ცნობილ „აცტეკას“ სტადიონზე. ალბათ გახსოვთ, რომ ეს არენა 1970 და 1986 წლების მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩების მასპინძელი იყო. საბოლოოდ შეხვედრა განახლდა და „კრუს ასურმა“ 3:1 მოუგო სტუმრად „ამერიკას“.

მეორე შეხვედრაში ერთმანეთს „მორელია“ და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მონაწილე „ნეკაქსა“ უპირისპირდებოდნენ. მატჩის დაწყებისთანავე „მორელიას“ არგენტინელი მეკარე ანხელ კომუსო სათამაშო წესის დარღვევისათვის გააფრთხილეს. მერე სიტუაციაც დაიმუხტა, მაგრამ საბოლოოდ შეხვედრა მშვიდობით ჩამთავრდა და „მორელიამ“ მოიგო ანგარიშით — 2:0.

გათამაშების მეორე შესარჩევ ჯგუფში „კრუს ასური“ შვიდი ქულით უსწრებს თავის უახლოეს მდევარ „მორელიას“ და, ალბათ, შემდეგ ეტაპზე გასვლა აღარ უნდა გაუჭირდეს.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანჩესტერს რივალდო სდომებია...

თურმე ინგლისის ჩემპიონსა და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ბრაზილიელი ვარსკვლავის, რივალდოს შეძენა განუზრახავს. კლუბის პრეზიდენტის, მარტინ ედუარდსის თქმით, მოხარული იქნებოდა, უახლოეს მომავალში ბრაზილიელი „ოლდ ტრეფორდზე“ რომ ეხილა და ვინ იცის, რას არ გაიღებდა ამისათვის. მაგრამ მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ თავად „ბარსელონა“ რივალდოს დათმობას არ აპირებს.

არ არის ცნობილი, რა თანხის გაღება შეუძლია „მანჩესტერს“ რივალდოს სანაცვლოდ. ისე კი ჭორები გავრცელდა, თითქოს „ბარსას“ უთქვამს, რივალდოში ჩვენს მიერ გადახდილი 18 მილიონი გირვანქა აგვინაზღაურეთ, ამას ზემოდან კიდევ 20 მილიონი დაუმატეთ, ფეხბურთელს მინიმუმ სამჯერ მეტი ხელფასი გადაუხადეთ, ვიდრე კინსა და ბექემს უხდით და თუ გნებავთ, მერე დავილაპარაკოთ, თუ არა და ამაზე საუბარი ერთხელ და სამუდამოდ შევწყვიტოთო.

როგორია ასეთი პასუხის მოსმენა? მაგრამ ედუარდსიც რალას გააწყობდა და ჯერჯერობით ჩუმადაა. კარგად იცის, რომ დღეს ფინანსები წყვეტს ყველაფერს.

ისე კი „მანჩესტერმა“ ბოლო ორი სეზონის მანძილზე 40 მილიონი გირვანქა დახარჯა ახალი ფეხბურთელების შესაძენად. მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმაც მშვენიერი გუნდი შეკრა და დიდ გამარჯვებასაც მიაღწია.

საკვირველი ის გახლავთ, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კლუბი თუ ვერ შესწვდა რივალდოს ფასს, სხვამ რაღა უნდა თქვას?

**ნიკა ზუბლაძე**



რივალდო

### ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „შეფილდ უენსდის“ იტალიელი ფორვარდი ბენიტო კარბონე სეზონის ბოლომდე „ასტონ ვილას“ რიგებს შეუერთდა. „ასტონ ვილას“ მენეჯერის, ჯონ გრეგორის განცხადებით კარბონე ახალ გუნდში კონტრაქტით 31 მაისამდე ითამაშებს. ამ დროისათვის ფეხბურთელი უკვე თავისუფალი აგენტი გახდება და თავადვე შეეძლება გუნდის ამორჩევა. შეგახსენებთ, რომ ბენიტო „შეფილდში“ მილანის „ინტერიდან“ 1996 წელს გადავიდა. წლეულს მისი გუნდი აშკარა კრიზისს განიცდის და პრემიერლიგის ცხრილის ბოლო ადგილზეც იმყოფება. „ასტონ ვილა“ კი ცხრილის შუაგულში — მეცხრე ადგილზეა.

**ინგლისური „ლივერპულის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ გაამხნევა და სრული მხარდაჭერა აღუთქვა გუნდის ჩეხ მოთამაშე ვლადიმერ შმიცერს, რომელიც კლუბს ამ სეზონის დასაწყისში შეუერთდა ფრანგული „ლანსიდან“. შმიცერი გააკრიტიკეს, პრემიერლიგაში სათამაშოდ არც დონე ჰყოფნის და არც ფიზიკური კონდიციებიო. ამას ისიც ემატება, რომ ფეხბურთელს მცირე ტრავმა აქვს. იქნებ ამიტომაცაა, რომ მას იდეალურ ფორმამდე ჯერ ბევრი უკლია. ულიეს განცხადებით, შმიცერს ახლა ინგლისურ ფეხბურთთან ადაპტაციის პერიოდი უდგას და სავსებით ლოგიკურია ის ფაქტი, რომ სათანადოდ ვერ გამოიყურება. მწვრთნელი იმედოვნებს, რომ იგი სულ მალე შეეგუება ახალ გარემოს და გუნდს ძალიან დაეხმარება. ულიემ მაგალითად მანჩესტერელი იაპ სტამი დაასახელა, რომელსაც თავიდან ყველა სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ ახლა ერთ-ერთი საუკეთესო მცველია პრემიერლიგაში.**

**ნიგერიის** ფეხბურთის ფედერაციის ახალ თავმჯდომარედ ხუთშაბათს ფიფას წევრი ტონი კოდჯო უილიამსი აირჩიეს. მას შემდეგ, რაც ყოფილ თავმჯდომარეს — აბდულმუმინ ამინუს ვადა ამოეწურა, პოსტი ცოტა ხანს თავკაცის გარეშე დარჩა. 42 წლის უილიამსი, რომელიც იმავდროულად ფიფას ერთ-ერთ კომიტეტშიც მოღვაწეობდა, ახალ თანამდებობაზე 3 წლის ვადით დაინიშნა

**ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორად ოთხშაბათს სარეკლამო კომპანია „სააჩი ენდ სააჩის“ პრეზიდენტი ადამ კროზიერი დაინიშნა. 35 წლის, წარმოშობით შოტლანდიელი კროზიერს საქმეთა მართვისა და მენეჯმენტის დიდი გამოცდილება აქვს. იგი 26 წლისა უკვე „სააჩი ენდ სააჩის“ საბჭოს თავმჯდომარე იყო, ხოლო 30-ის აღმასრულებელი დირექტორი გახდა. უკანასკნელ პერიოდში იგი აქტიურად მონაწილეობდა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ინგლისში ჩატარებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებში. კითხვაზე, რომელი ქვეყნის გულშემატკივრობას აპირებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში, ინგლისის თუ შოტლანდიის, განაცხადა რომ გაიმარჯვებს ის, რომელიც კონკრეტულ მომენტში ძლიერი აღმოჩნდება. ასოციაციის ყოფილი მეფი, გრემ კელი გასულ წელს ფინანსური მაქინაციის ბრალდებით გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მას 5,4 მილიონი დოლარის უკანონო გადარიცხვებში ედებოდა ბრალი.**

**იტალიელი** მცველი ალესანდრო ნესტა ტრავმის გამო თავის გუნდს, რომის „ლაციოს“ მინიმუმ ორი კვირით დააკლდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სერია A-ს მომავალი ტურის შეხვედრას „ლაციო“ „ლეჩესთან“ თავის კაპიტნის გარეშე ჩაატარებს. ვერ ითამაშებს ნესტა ჩემპიონთა ლიგის მორიგ ტურშიც ლევერკუზენის „ბაიერის“ წინააღმდეგ. ხოლო იტალიის ჩემპიონატის სუპერმატჩისთვის, ალბათ უკვე გამოჯანმრთელდება და თამაშსაც შეძლებს. შეგახსენებთ: 30 ოქტომბერს „სან სიროზე“ ერთმანეთს რომის „ლაციო“ და მილანის „ინტერი“ დაუპირისპირდებიან.

**ლიტველი სპეციალისტი, ახლო წარსულში, საბჭოურ წლებში ვილნიუსის „ჟალგირისის“ თავკაცი ბენიამინას ზელკიავიჩიუსი მესამეა, რომელსაც წლევანდელ სეზონში იაროსლავლის „შინიკის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დაატოვებინეს. ლიტვის ეროვნული გუნდის ყოფილმა თავკაცმა ზელკიავიჩიუსმა „შინიკი“ შუა სეზონში ჩაიბარა და კლუბის ხელმძღვანელობამაც ერთადერთი გეგმა დაუსახა — კლუბი რუსეთის უმაღლესი დივიზიონიდან არ უნდა გავარდნილიყო. ძნელი მისახვედრი არაა, თუ რატომ გაათავისუფლეს ზელკიავიჩიუსი. დღეისათვის „შინიკი“ ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზე გახლავთ და ცალი ფეხით უკვე პირველ დივიზიონშია.**

**უკრაინის** ჩემპიონის, კიევის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს, ვალერი ლობანოვსკის ამ დღეებში მილიციის პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს. ეს ჩინი ლობანოვსკის თავად უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა იური კრავჩენკომ უბოძა ქალაქის ჰოსპიტალში, სადაც მწვრთნელი მცირე კარდიოთერაპიას გადის.

**შოტლანდიის ჩემპიონატში „მოზერუელი“ — „აბერდინის“ გამოტოვებული მატჩი გაიმართა. ორივე გუნდი გათამაშების აშკარა აუტსაიდერია და ცხრილის ფსკერზე იმყოფება. აღსანიშნავია, რომ „აბერდინს“ აქამდე მხოლოდ 1 ქულა ჰქონდა, ხოლო „მოზერუელს“ — 7 და თან ორი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა და, შეიძლება ითქვას, არასაფეხბურთო შედეგით დასრულდა — 6:5 „აბერდინის“ სასარგებლოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ მატჩში ორი ჰეთ თრიქი შესრულდა. თავი გამოიჩინეს მოზერუელელმა რონ სპენსერმა და აბერდინელმა რობერტ ვინტერსმა.**

# იაშინს ქართველებიც დააფასებენ

დღეს, სახელგანთქმულ რუს მეკარეს, ლევ იაშინს 70 წელი შეუსრულდებოდა. იაშინის საპატივცემულოდ, დღესვე ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი უნდა გამართულიყო, საბჭოთა კავშირისა და „დინამოს“ ნაკრებ გუნდებს შორის. მაგრამ მისმა ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს გულშემატკივართა დიდი ინტერესი, მოსკოვური დერბის, „დინამოსა“ და „სპარტაკს“ შორის რუსეთის ჩემპიონატზე რომ უნდა გაიმართოს და ვეტერანთა მატჩის გადადება შაბათისთვის დაადგინეს. ამ დღესვე შედგება დერბიც, მანამდე კი „დინამოს“ სტადიონზე სწორედ ზემოხსენებული მატჩი გაიმართება, უფრო ადრე კი, სტადიონზე, კერძოდ კი, ჩრდილოეთ ტრიბუნასთან ლევ იაშინის ქანდაკების საზეიმო გახსნა მოეწყობა.

შეგახსენებთ, რომ ვეტერენთა მატჩში მონაწილეობის მისაღებად ქართველებიც არიან მიპატიჟებულნი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია და თენგიზ სულაქველიძე.



დიეგო მარადონა

# აგიტატორი მარადონა

**მსოფლიოს** ფეხბურთის ჩაუმქრალი ვარსკვლავი, გენიალური არგენტინელი დიეგო არმანდო მარადონა გუშინწინ ლიბიას ეწვია. როგორც ამ ქვეყნის ცენტრალური გაზეთი იუწყება, მარადონა დედაქალაქ ტრიპოლიში სპორტის ნომერ პირველი სახეობის განვითარების მიზნით ამ ქვეყნის უფლისწულმა, ამავე დროს ლიბიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ მუამარ კადაფიმ მიიწვია.

მას შემდეგ, რაც 1992 წლიდან მოყოლებული ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მიერ შევიწროებული ეს ქვეყანა საერთაშორისო ემბარგოს ეწინააღმდეგებოდა, სპორტმა, კერძოდ, ფეხბურთმა დეგრადაცია განიცადა. ამ პერიოდში ლიბიელი სპორტსმენები, უფრო კი ფეხბურთელები, ყველანაირ საერთაშორისო შეჯიბრების იშვიათი სტუმრები გახლდნენ, რამაც, ბუნებრივია, ამ ქვეყნის სპორტის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა.

დღეს კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ქვეყნის ხელმძღვანელები ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, სპორტის და ფეხბურთის დონე აამაღლონ. სწორედ ასეთი პროპაგანდის მიზნით იწვევენ ქვეყანაში მოქმედ და ყოფილ ვარსკვლავებს. დიეგო მარადონაც ამიტომ ეწვია ტრიპოლის. რა შედეგს გამოიღებს ფეხბურთელის ლიბიაში აგიტატორობა, წინასწარ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ის კი ფაქტია, დიეგო არმანდო მარადონა მესამე არგენტინელია, რომელიც ლიბიელებმა მიიპატიჟეს.

მანამდე კი ეს წილად ხვდათ — ფლორენციის „ფიორენტინას“ თავდამსხმელ გაბრიელ ბატისტუტას და 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინის ნაკრების მწვრთნელ კარლოს ბილარდოს.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ათასად კაცი დაფასდა...



ანდრეი შევჩენკო

**ევროპის** ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის ბოლო მატჩში შეხვედრის დასრულებამდე სამიოდე წუთით ადრე რუსების კარში ანდრეი შევჩენკოს მიერ გატანილმა გოლმა უკრაინელებს პლეი ოფის საგზური მოუპოვა. იქ კი უეფას ჩინოვნიკთა ხელმა თუ განგებამ ჩვენი თანაჯგუფელი სლოვენია შეახვედრა. მოუგებენ ისინი ყოფილ იუგოსლავიელებს და გზაც ხსნილია. პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში უკრაინის ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე ითამაშებს. თუმცა ახლა სულ სხვაზე გვსურს თქვენი ყურადღების შეჩერება.

... გამოჩენილ ადამიანებს ისტორია არ ივიწყებს. ღვაწლის დაფასებისთვის წახალისების მიზნით მათ ღირსების ორდენით აჯილდოვებენ. უკრაინის პრეზიდენტმა, ლეონიდ კუჩმამაც არ დაივიწყა ხალხის მიერ გმირებად შერაცხული ფეხბურთელები და, ალბათ, სავსებით სამართლიანადაც ბრძანებულებას მოაწერა ხელი. „ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი იოჟეფ საბო, მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი და თავდამსხმელები — ანდრეი შევჩენკო და სერგეი რებროვი დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით“ — შავით თეთრზე წერია ბრძანებულებაში.

უკრაინამ რუსეთს აჯობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ბოლმა ახრჩობთ, ოღონდ უკრაინას არ ემარჯვა და...

ასეა თუ ისე, რუსეთ-უკრაინის მატჩი უკვე წარსულია. წარსული, სადაც „ერთი ომი“ უკრაინელებმა რუსებს უკვე მოუგეს.

**გიორგი ვაშაკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. E ჯგუფი

### პორტუ 2:1 რეალი

1:0, 2:0 ჟარდელი (13,35), 2:1 პეიშე (68ს.კ.)
პორტუ: ვიტორ ბაია, სეკრეტარიუ, ჟორჟე კოშტა, ფუქსი (ალოიზიო ალვეში 74), ესკერდინია, რუბენს ჟუნიორი (დრულოვიჩი 36), ნუნო კაპუჩო, ჩაინიო, პეიშე, დეკო სოუზა, ჟარდელი
რეალი: ილგნერი, მიჩელ სალგადო, იერო, ივან კამპო, რობერტო კარლოსი, ხერემი (გუტი 65), რედონდო, ანელკა (ზეედორფი 47), სავიო, მორიენტესი, რაული
მსაჯი: ბ. ჰაინემანი (გერმანია)

ჩემპიონთა თასის შვიდგზის მფლობელმა, „რეალმა" მარიო ჟარდელის მიერ პირველ ტაიმში გატანილი ორი გოლის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა.

„სამეფო გუნდმა" მხოლოდ ერთი გოლით შეძლო პასუხის გაცემა.

აღსანიშნავია, რომ „რეალმა" მეორე ტაიმში ერთობ შეავიწროვა მასპინძელთა დაცვა, რომელსაც დიდი გამოცდის გაძლება მოუხდა და ერთადერთხელ გატყდა, 68-ე წუთზე, როდესაც ემილიო პეიშემ ბურთი საკუთარ კარში შეაგდო. საგანგებო შექების ღირსი გახლდათ „პორტუს" კარის მცველი, ესპანური „ბარსელონას" ყოფილი გოლკიპერი და ამდენად „რეალის" კარგი ნაცნობი ვიტორ ბაია.

სტუმართა გამოცოცხლება მათი მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის მიერ შესვენების დროს ორი ფეხბურთელის შეცვლის შედეგი გახლდათ. მოედანზე მეორე ტაიმში შესულმა ნახევარმცველებმა, კლარენს ზეედორფმა და ხოსე მარია გუტიერესმა, ანუ უბრალოდ გუტიმ, თამაშის ნირი სრულებით შეცვალეს, მაგრამ ზეწოლის მიუხედავად ფორვარდების, რაულისა და ფერნანდო მორიენტესის მონდომება ჯებირად აღმართულ დაცვას, ან ბაიას დიდებულ ოსტატობას აწყდებოდა.

ჟარდელის პირველი გოლი მე-13 წუთზე გავიდა. ბრაზილიელმა საჯარიმოს კიდიდან დაარტყა და ბურთი მცირე რიკოშეტით ჩაეშვა „რეალის" გერმანელი მეკარის, ბოდო ილგნერის კარში.

მეორე გოლი თავურით გავიდა. ამ შემთხვევაში ბურთი ბადეს არ შეხებია, იგი რობერტო კარლოსმა თავურითვე გამოიტანა, მაგრამ, მსაჯთა შეფასებით ხაზს შიგნიდან.

„მეორე ტაიმში იღბალმა ზურგი გვაქცია. ძალიან ბევრი მომენტი შევქმენით, მაგრამ გოლი ვერაფრით გავიტანეთ" — აღნიშნა მადრიდელთა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა — „განსაკუთრებით მეტოქის გოლკიპერი მინდა გამოვყო. ის „პორტუს" მთავარი ფიგურა გახლდათ".

სატელევიზიო გამეორებებმა, საყოველთაო აზრით, დიდი ეჭვი დაბადა გადაკვეთა თუ არა ჟარდელის მეორე გოლის დროს ბურთმა ხაზი.

აგრეთვე, გამოჩნდა ეპიზოდი, სადაც რობერტო კარლოსი საჯარიმო მოედანში ბურთს ხელით ეხება. მსაჯს ეს ეპიზოდიც გამოეპარა.

### მოლდე 3:2 ოლიმპიაკოსი

0:1 მავროგენიდისი (36), 0:2 ზაჰოვიჩი (40), 1:2, 2:2 ლუნდი (55, 59), 3:2 ჰესტადი (74)
მოლდე: ბაკე, დოს სანტოსი, სინგსასი, ლიდერსენი, ფოსტერვოლდი, ინგე ოლსენი, ფიორტოფტი, ჰესტადი, ტესემი, ლუნდი, ჰოსეტი (მორკი 89)
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, კარატაიდისი (ანცასი 58), ამანატიდისი, პურსანიდისი, ჯოვანი, ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი, პასალისი (იანაკოპულოსი 77), კარაპიალისი (ოფორი კუაე 46), ზაჰოვიჩი, ანატოლაკისი
მსაჯი: რ. ვოიჩეკი (პოლონეთი)

„მოლდე" პირეოსის „ოლიმპიაკოსთან" პირველ ტაიმში 0:2-ს აგებდა, მერე კი ყველაფერი ყირაზე დადგა: ნორვეგიელთა ვაჟკაცობამ სამჯერ გამოიღო ნაყოფი და დავით ყიფიანის დროინდელი თბილისის „დინამოს" მიერ ძლეულმა გუნდმა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში პირველი ქულები ჩაიწერა.

არადა, თავიდან, ოთხ წუთში გატანილი ორი გოლის მერე ვინ იფიქრებდა, რომ პირეოსელები თამაშს ვერ მოიგებდნენ.

თავდაპირველად მცველმა დიმიტრიოს მავროგენიდისმა გაუტანა ნორვეგიელთა გოლკიპერ ბაკეს. ეს 36-ე წუთზე მოხდა. მერე კი ზლატკო ზაჰოვიჩმაც გადააკვეთინა ბურთს მასპინძელთა კარის ხაზი.

შესვენების შემდეგ, განახლდა თუ არა თამაში, ბერძნული დაცვა დიდი გამოცდის წინაშე დადგა და გატყდა.

ანდრეას ლუნდმა სხვაობა ჯერ 55-ე წუთზე შეამცირა, კიდევ ოთხ წუთში კი თავურით სულაც გაქვითა.

საფინალო სასტვენამდე 16 წუთით ადრე ნორვეგიელმა ნახევარმცველმა დანიელ ბერგ ჰესტადმა ჯო ტესემის მარჯვენაფლანგური გარღვევა საბოლოო, გამარჯვების გოლით დააგვირგვინა.

*26 ოქტომბერი, V ტური. რეალი — ოლიმპიაკოსი, პორტუ — მოლდე*


REUTERS

პორტუ — რეალი 2:1. გუტი (მარცხნივ) კარლოს ჩაინიოს წინააღმდეგ

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტუ | | 2:1 | 2:0 | 26.X | 6:4 | 9 |
| 2 | რეალი | 3:1 | | 26.X | 4:1 | 11:7 | 7 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 3.XI | 3:3 | | 3:1 | 8:9 | 4 |
| 4 | მოლდე | 0:1 | 3.XI | 3:2 | | 5:10 | 3 |

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. F ჯგუფი

### რეინჯერსი 4:1 პსვ

1:0 ამორუზო (19), 2:0 მოლსი (39), 2:1 ვან ნისტელროი (45პ), 3:1 მაკკენი (56), 4:1 მოლსი (80)
რეინჯერსი: კლოსი, პორინი, ლ. ამორუზო, მური, ვიდმარი, ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, მაკკინესი, მაკკენი (ალბერტცი 71), მოლსი (იოჰანსონი 81), უოლესი (კანჩელსკისი 88)
პსვ: კრალი, ჰაინცე, ფაბერი, ნიკიფოროვი, ვიელაერტი (კოლკა 38), ვოგელი, ვან ბომელი, ხოხლოვი, სტინგა (რომედალი 74), ნილისი (ბრუგინკი 85), ვან ნისტელროი
მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)

ერთი თვის წინ, როდესაც ლიგის გათამაშებაში მხოლოდ ორი ტური იყო ჩატარებული, გლაზგოს გუნდი „რეინჯერსი" F ჯგუფის ბოლოში საცოდავად ფართხალებდა. დღეს ორ ტურს კიდევ ორი რომ დაემატა, „რეინჯერსი" პირველ ადგილზეა, მას შვიდი ქულა აქვს, რომელთაგან ბოლო სამი ოთხშაბათს, „აიბროქს პარკზე" პსვ-ს 4:1 ძლევით მოიპოვა.

ეს თამაში შეგვიძლია ასეც მოვნათლოთ: ჰოლანდიელ ემიგრანტთა მიერ მკვიდრ ჰოლანდიელთა ძლევა. საქმე ის გახლავთ, რომ „რეინჯერსს" სათავეში პსვ-ს ყოფილი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი უდგას. გეხსომებათ, სწორედ ადვოკაატმა ჩამოიყვანა 1996 წლის სექტემბერში ეინდჰოვენის გუნდი ბათუმში.

გარდა ამისა, „აიბროქს პარკზე" პსვ-ს კარში ოთხიდან ორი გოლი „რეინჯერსის" ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა, მიხაელ მოლსმა გაიტანა.

გლაზგოელები მე-19 წუთზე ლორენცო ამორუზოს თავურმა დააწინაურა, ხოლო ოცი წუთის შემდეგ, ნილ მაკკენის ჩინებულად ჩაწოდებული კუთხური მოლსმა დააგვირგვინა წარმატებით.

ამის შემდეგ როდნი უოლესმა ორი საუცხოო მომენტი გაუშვა ხელიდან. მას რომ ეყოჩაღა, ბუნებრივია, ანგარიში სულ სხვანაირი იქნებოდა, მაგრამ მის ორ მომენტს გადარჩენილმა პსვ-მ პირველი ტაიმის ბოლოწამს პენალტით სხვაობის შემცირება მოახერხა. პენალტი კრეიგ მურის მიერ ვან ნისტელროის წაქცევისთვის დაინიშნა. თერთმეტი მეტრიდან თავად ვან ნისტელროიმ დაარტყა.

შესვენებიდან 11 წუთის შემდეგ პსვ-ს მეკარემ ივიცა კრალმა უხეში შეცდომა დაუშვა — ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა ჯარიმა ჩააწოდა, კრალმა ბურთის შემაგრება ვერ შეძლო, რითაც უოლესმა ვერ ისარგებლა, მაგრამ ნილ მაკკენმა წამი იხელთა და სტუმართა კარში მესამე შეაგდო.

ბოლოს, მოლსი უკვე გადაღლილი ჩანდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე მაინც მოახერხა კიდევ ერთი გოლის გატანა და როდესაც იოჰანსონმა შეცვალა, მოედანი გმირის სტატუსით დატოვა.

### ვალენსია 1:1 ბაიერნი

1:0 ილიე (10), 1:1 ეფენბერგი (17პ)
ვალენსია: პალოპი, კარბონი, პელეგრინო, ბიორკლუნდი (ჯუკიჩი 19), ანგულო, კილი გონსალესი (ოსკარი 40), ხერარდი, ალბელდა, მენდიეტა (ფარინოსი 69), კლაუდიო ლოპესი, ილიე
ბაიერნი: კანი, ლინკე, მათეუსი, კუფური, ბაბელი, ლიზარაზუ, ეფენბერგი, იერემისი, ციკლერი (სალიჰამიჯიჩი 75), პაულო სერჟიო (სანტა კრუზი 45), ელბერი (იანკერი 81)
მსაჯი: ა. ფრისკი (შვედეთი)

„მინდა ჩემს ბიჭებს მივულოცო და მადლობა ვუთხრა. მათ მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს ისეთი დიდი გუნდის კართან, როგორიც მიუნხენის „ბაიერნი" გახლავთ" — განაცხადა „ვალენსიას" არგენტინელმა მწვრთნელმა ექტორ კუპერმა შინ, გერმანიის ჩემპიონთან ნათამაშევი 1:1-ის შემდეგ.

„შედეგი სრულებით სამართლიანი გახლავთ. გამარჯვების შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. ფეხბურთში არსებობს ერთი კანონი: ნებისმიერი გუნდი თამაშობს იმდენად კარგად, რამდენადაც ამის საშუალებას მოწინააღმდეგე აძლევს. ამის დასტური ჩვენი ტოლძალოვანი ჯგუფია. ჩვენგან რომელიმე ფინალშიც რომ გავიდეს, არ უნდა გაგვიკვირდეს". — ბრძანა „ბაიერნის" თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა.

„ვალენსიამ" მკაფიო ტაქტიკას მიმართა: ნახევარმცველები „ბაიერნის" მცველთა ზურგსუკან, გრძელი პასებით ცდილობდნენ ხელსაყრელ პოზიციაზე თავიანთი სწრაფი თავდამსხმელის, კლაუდიო ლოპესის გაყვანას, ტაქტიკამ იმდენად გაამართლა, რამდენადაც მე-10 წუთზე სწორედ ლოპესის მეცადინეობის შემდეგ გაიხსნა ანგარიში. არგენტინელმა ფორვარდმა რუმინელ თანაგუნდელს, ადრიან ილიეს უმარტივესი დარტყმაღა დაუტოვა შესასრულებლად.

გერმანელები კი, მოგეხსენებათ, ის ხალხი არ არიან პირველი გოლის ფაქტორი რამედ ულირდეთ. ილიეს ზეიმიდან შვიდი წუთის შემდეგ „ვალენსიას" მეკარემ ანდრეს პალოპმა საჯარიმოში ჯოვანი ელბერი წააქცია, რისთვისაც პენალტი დაინიშნა და იგი შტეფან ეფენბერგმა გაიტანა.

*26 ოქტომბერი, V ტური. პსვ — ბაიერნი, რეინჯერსი — ვალენსია*


REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — ბაიერნი 1:1. ვალენსიელი ამადეო კარბონი (მარცხნივ) და როკე სანტაკრუზი ბურთისთვის იბრძვიან

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეინჯერსი | | 26.X | 1:1 | 4:1 | 6:4 | 7 |
| 2 | ვალენსია | 2:0 | | 1:1 | 3.XI | 5:3 | 6 |
| 3 | ბაიერნი | 3.XI | 1:1 | | 2:1 | 5:4 | 6 |
| 4 | პსვ | 0:1 | 1:1 | 26.X | | 3:8 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. G ჯგუფი

### სპარტაკი 1:2 ბორდო

0:1 მიკუ (22), 1:1 ტიხონოვი (54პ), 1:2 ვილტორდი (74)
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ხლესტოვი, ბუშმანოვი, პარფიონოვი, ბარანოვი (კეჩინოვი 55), ბულატოვი, ტიტოვი, ტიხონოვი, შირკო, ბეზროდნი
ბორდო: რამე, აფანუ, ბონისელი, გრენე, მარტენსი (რუვიე 75), პავონი, დიაბატე, ალიკარტე, მიკუ, ლასლანდი, ვილტორდი (ბატლე 85)
მსაჯი: გ. პოლი (ინგლისი)

საფრანგეთის ჩემპიონმა, „ბორდომ“ მოსკოვში „სპარტაკი“ დაჯაბნა და პირველი ჯგუფური ეტაპის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე დაიბევა ადგილი მეორე ჯგუფურ ეტაპზე, ანუ 16 საუკეთესოს შორის.

გამარჯვების, ანუ „ბორდოს“ მეორე, ანუ თამაშის მესამე გოლი ლილიან ლასლანდის ჩაწოდებული საჯარიმოდან სილვენ ვილტორდმა თავურით გაიტანა.

თავიდანაც სტუმრები დაწინაურდნენ. ანგარიში იოან მიკუმ გახსნა.

მიკუმ საჯარიმო მოედნის კიდიდან დაბლა დაარტყა, რასაც სპარტაკელთა გოლკიპერმა ალექსანდრ ფილიმონოვმა ვერაფერი დაუპირისპირა.

მოსკოველები კვლავ ბრაზილიელი ფორვარდის, ლუის რობსონის გარეშე თამაშობდნენ. ძნელი სათქმელია ამის ბრალი იყო თუ არა, მაგრამ ფაქტია, ჟირონდელთა კარგად ორგანიზებულ დაცვას მათ პირველ ტაიმში ვერაფერი მოუხერხეს, შესვენების შემდეგ კი მაყურებელმა სხვა, გაცილებით ენერგიული „სპარტაკი“ იხილა.

ანგარიში მასპინძელთა საუკეთესო მეგოლემ ანდრეი ტიხონოვმა გაათანაბრა. მეორე ტაიმის მეცხრე წუთზე მან ალექსანდრ შირკოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტით, ოთხ თამაშში თავისი მეოთხე გოლი გაიტანა, მაგრამ ვილტორდმა, რომელმაც პირველ ტაიმში ფილიმონოვთან პირისპირ შესვლით ვერ ისარგებლა, როგორც მოგახსენეთ, 74-ე წუთზე გადაწყვიტა სამი ქულის ბედი.

„სპარტაკი“, რომელსაც შეჯიბრების დაწყებამდე „ბორდოს“ თავკაცმა, ელი ბოპმა, ჯგუფის საუკეთესო გუნდი უწოდა, დღეს მესამე ადგილზეა და უძლიერეს 16 გუნდს შორის მოსახვედრად დარჩენილ ორ შეხვედრაში გამარჯვებაზე ოცნებობს. იმავდროულად მოსკოველთა კონკურენტმა, პრაღის „სპარტამ“ ერთიც ვერ უნდა მოიგოს.



ტილბურგი — სპარტა 3:4. ტომაშ როსიკის ამ თავურს გოლი არ მოჰყოლია

### ტილბურგი 3:4 სპარტა

1:0 ბომბარდა (1), 2:0 შუკოვი (6), 2:1 ნოვოტნი (17), 3:1 შენინგი (50), 3:2 ლაბანტი (54პ), 3:3 ბარანეკი (62), 3:4 ლაბანტი (90პ)
ტილბურგი: მამპეი (ვან ფესემი 67), პრომაიონი, ვიქტორია, იალიენსი, ჰილი, ლანდზაატი, გალაშეკი, შენინგი, სესაი, ბომბარდა (ვალკი 60), შუკოვი (სანუ 77)
სპარტა: პოსტულკა, ფუკალი, ი. ნოვოტნი, გაბრიელი, ლაბანტი, ჰაშეკი, ბარანეკი (ობაიდინი 70), სვობოდა, როსიკი (ზიგლი 61), სიონკო, ლოკვენცი (იაროშიკი 80)
გაძევება: გალაშეკი (54)
მსაჯი: ო. სარვანი (თურქეთი)

„სპარტამ“ ტილბურგში იმიტომ მოიგო, რომ მსაჯის მიერ დამატებული დროის მეორე წუთზე, მოედანზე 10 კაცით დარჩენილი მასპინძლების კარში თურქმა მსაჯმა სარვანმა თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნა, რომელიც პრაღელმა ვლადიმირ ლაბანტმა გოლით დააგვირგვინა.

საოცარია, თამაშის დაწყებიდან ექვსი წუთის შემდეგ ტილბურგელები 2:0-ს იგებდნენ. გოლები მარიანო ბომბარდამ და დმიტრი შუკოვმა გაიტანეს. ბომბარდამ თავურით 32-ე წამზე გახსნა ანგარიში, შუკოვმა კი მე-6 წუთზე ახლო მანძილიდან მეორე შეაგდო.

მე-17 წუთზე სხვაობა შემცირდა: კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი უმეურვეოდ დარჩენილმა ნოვოტნიმ მასპინძელთა კარში გაგზავნა, მაგრამ შესვენების დამთავრებიდან ხუთი წუთის შემდეგ მარკ შენინგმა „ტილბურგი“ ისევ ორი გოლით დააწინაურა.

შენინგმა დაახლოებით 20 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით დალაშქრა მეტოქის კარის მარცხენა მაღალი კუთხე.

მაგრამ ამ წარმატებიდან ოთხი წუთის შემდეგ ჰოლანდიელებს ბედმა უმუხთლათ, ლიბორ სიონკოს საჯარიმოში წაქცევისთვის მსაჯმა მათი კაპიტანი ტომაშ გალაშეკი გააძევა მოედნიდან. ლაბანტმა პენალტი გაიტანა, რვა წუთის შემდეგ კი ახლოდან მიროსლავ ბარანეკმა გაქვითა მასპინძლების უპირატესობა.

ბოლოს კი ლაბანტმა მეორე პენალტიც გაიტანა. დელანო ჰილმა იოჟეფ ობაიდინი წააქცია და...

*26 ოქტომბერი, V ტური. სპარტაკი — ტილბურგი, ბორდო — სპარტა*

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბორდო | | 26.X | 2:1 | 3:2 | 7:4 | 10 |
| 2 | სპარტა | 0:0 | | 3.XI | 4:0 | 9:4 | 8 |
| 3 | სპარტაკი | 1:2 | 1:1 | | 26.X | 6:6 | 4 |
| 4 | ტილბურგი | 3.XI | 3:4 | 1:3 | | 6:14 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. H ჯგუფი

### ჰერტა 1:0 მილანი

1:0 ვოში (41)
ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი, სვერისონი, ვოში, დაეი (არაჩიჩი 70), რეკდალი, პრეეტცი, დარდაი (სანე 87), მიხალკე, დაისლერი, ჰელმერი
მილანი: აბიატი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა (აიალა 46), ამბროზინი (ჯუნტი 64), გულიელმინპიეტრო, სალა, სერჟინიო (ორლანდინი 75), ლეონარდო, შევჩენკო, ბირჰოფი
მსაჯი: ხ. გარსია არანდა (ესპანეთი)

„გამარჯვება მთელ გუნდს ეკუთვნის. ცალკე არავის გამოვყოფ. ჩვენ გავრისკეთ და მოვიგეთ. გოლის დროს კი გავოცდი იმხელა სივრცე დამიტოვეს მილანელებმა. მეც გამოვიყენე ბოძებული შესაძლებლობა“ — განაცხადა მატჩის დამთავრების შემდეგ ბერლინელთა ნახევარმცველმა, შეხვედრის ერთადერთი გოლის ავტორმა, დარიუშ ვოშმა.

„დიდებული თამაში იყო. ყველას თვალნათლივ ვაჩვენეთ, რა ძალის გუნდია ბერლინის „ჰერტა“ — დასძინა ვოშისა და კამპანიის მწვრთნელმა იურგენ რიობერმა.

„ჩვენ კი ხასიათის უტეხობა არ გვეყო. ძლიერმა გაიმარჯვა. „მილანის“ თავდამსხმელებს ფართობი არ ეყოთ, ვერ იპოვნეს“ — შეაქო მოწინააღმდეგე სტუმრების თავკაცმა ალბერტო ძაკერონიმ.

აღსანიშნავია, რომ ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ იმ დღეს ფიფას დელეგატები ისხდნენ.

მათ გერმანიაში ხუთდღიანი მივლინება აქვთ, რათა შეისწავლონ ამ ქვეყნის მდგომარეობა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის დასახელების წინ. მოგეხსენებათ გერმანელები — თუ ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მიიღებენ — ბერლინის „ოლიმპიაშტადიონს“ შეაკეთებენ და ფინალს იქ გამართავენ.

„ჰერტას“ ოსტატური თამაში, საყოველთაო აზრით, დამატებითი ეფექტი გახლდათ დელეგატთათვის.

### გალათასარაი 0:5 ჩელსი

0:1, 0:2 ფლო (32, 49), 0:3 ძოლა (54), 0:4 უაიზი (79), 0:5 ამბროზეტი (88)
გალათასარაი: ბოლუქბაში, ჟიკა პოპესკუ, დელოზოღლუ, არიფი, ოკანი, ჰაკან შუქური (საფეტი 63), ჰაჯი (ჰასან სასი 46), აკიელი (დავალა უმითი 46), ქერიმოღლუ, ჰაკან უნსალი, კაპონე
ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, დეშამპი (უაიზი 66), პოიეტი (პეტრესკუ 66), ლე სო, ფერერი, ფლო, მორისი, ძოლა (ამბროზეტი 74)
მსაჯი: ვ. მანუელ პერეირა (პორტუგალია)

„რაც „გალათასარაიში“ ვარ, ასე ცუდად არ გვითამაშია. სრულიად დამსახურებულად წავაგეთ“ — უთხრა ჟურნალისტებს მატჩის დამთავრების შემდეგ სტამბოლელთა დათრგუნულმა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა.



ჰერტა — მილანი 1:0. მილანელი მასიმო ამბროზინი ბერლინელთა ირანელ ლეგიონერ ალი დაეის ფეხებში ჩაუვარდა

ანგარიში ტორე ანდრე ფლომ გახსნა. დარტყმამდე იგი ოსტატურად გაუმკლავდა მასპინძელ მცველებს. შესვენებამდე მეტი გოლი აღარ გასულა, შემდეგ კი სტამბოლელებმა ანგარიშის გათანაბრება განიზრახეს და საამისოდ შეუტიეს ლონდონელ სტუმრებს, მაგრამ ისევ ნორვეგიელის გოლი მიიღეს.

„ორი გოლი რომ გავიტანეთ, მოწინააღმდეგემ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მეტად შეგვიტია და დაცვაში სივრცეები მოაშიშვლა“ — განმარტა „ჩელსის“ თავკაცმა ჯანლუკა ვიალიმ.

„გალათასარაი“ გონსაც არ იყო მოსული, როდესაც ალბერტ ფერერმა ბურთი ჯანფრანკო ძოლას გადაუგდო. თანამსაჯმა ოფსაიდი არ აღნიშნა და ძოლამაც შეცდომა აღარ დაუშვა, მეკარესთან პირისპირ შეიჭრა და ეფექტური მესამე გოლი შეაგდო.

0:4 შეცვლაზე შესულმა დენის უაიზმა გახადა. მეტოქის მცველებმა იგი სახიფათო ადგილას უმეთვალყურეოდ დატოვეს.

შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე კი გაბრიელე ამბროზეტიმ მეხუთედ დალაშქრა მასპინძელი გუნდის კარი.

„ჩვენ ვიცოდით, რომ „ალი სამი იენის“ სტადიონზე საგანგებო, რთული ატმოსფერო დაგვხვდებოდა, მაგრამ ხანდახან ისეც ხდება, რომ რაც უფრო აგრესიულია გარემო, მით უკეთ თამაშობენ ფეხბურთელები“ — დასძინა ვიალიმ.

ისევ ფათიჰ თერიმი: „მეტოქეს ვულოცავ. დამარცხებას იღბალს არ ვაბრალებ. მათ უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ გამარჯვება.

ვიალი: „უძლიერეს ჯგუფში ვართ, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენ „მილანთანაც“ ისევე გვმართებს თამაში, როგორც სტამბოლში ვითამაშეთ“.

*26 ოქტომბერი, V ტური. მილანი — ჩელსი, ჰერტა — გალათასარაი*

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰერტა | | 2:1 | 1:0 | 26.X | 6:4 | 8 |
| 2 | ჩელსი | 3.XI | | 0:0 | 1:0 | 7:2 | 7 |
| 3 | მილანი | 1:1 | 26.X | | 2:1 | 3:3 | 5 |
| 4 | გალათასარაი | 2:2 | 0:5 | 3.XI | | 3:10 | 1 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 22 ოქტომბერი | | | |
| 037 | ჰანზა — არმინია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 038 | აინტრახტი — შალკე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 039 | კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 040 | ჰერტა — შტუტგარტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 041 | ულმი — უნტერჰახინგი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 042 | მიუნხენი — ჰამბურგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 043 | ფრაიბურგი — ლევერკუზენი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 044 | ვოლფსბურგი — დუისბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 045 | დორტმუნდი — ვერდერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 22 ოქტომბერი | | | |
| 046 | ალემანია — ნიურნბერგი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 047 | კოტბუსი — ჰანოვერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 048 | ობერჰაუზენი — ოფენბახი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 049 | კიკერსი — მიონხენგლადბახი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 050 | ზანქტ პაული — მაინცი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 051 | კარლსრუე — ქემნიცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 052 | ბოხუმი — ბერლინი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 053 | ფიურტი — ვალდჰოფი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 25 ოქტომბერი | | | |
| 054 | კიოლნი — ფორტუნა | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 055 | ასტონ ვილა — უიმბლდონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 056 | ბრედფორდი — ლესტერი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 057 | ჩელსი — არსენალი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 058 | უენსდი — ქოვენთრი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 059 | საუთჰემპტონი — ლივერპული | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 060 | ტოტენჰემი — მანჩესტერი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 061 | ევერტონი — ლიდსი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 062 | ვესტ ჰემი — სანდერლენდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 063 | უოტფორდი — მიდლსბრო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 25 ოქტომბერი | | | |
| 064 | ნიუკასლი — დერბი | 1,6 | 3,2 | 4,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 065 | ჩარლტონი — ვესტ ბრომვიჩი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 066 | ქრიუ — ბარნსლი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 067 | კრისტალ პალასი — ტრანმერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 068 | გრიმსბი — ბირმინგემი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 069 | ჰადერსფილდი — ფულემი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 070 | მანჩესტერ სიტი — ბლექბერნი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 071 | ნოტინგემი — სტოკპორტი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 072 | ქუინზ პარკი — პორტსმუთი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 073 | სუინდონი — შეფილდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 074 | უოლსოლი — იფსვიჩი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 075 | ვულვერჰემპტონი — პორტ ვეილი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 076 | ნორვიჩი — ბოლტონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 077 | როვერსი — ნოტსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 078 | ბარნლი — ბრისტოლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 079 | ბერი — ბორნმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 080 | ჩესტერფილდი — სკანთორპი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 081 | კოლჩესტერი — მილუოლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 082 | ჯილინგემი — კემბრიჯი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 083 | ოლდემი — რედინგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 084 | ოქსფორდი — ლუტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 085 | პრესტონი — ბრენტფორდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 086 | სტოკი — რექსემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 087 | უიგანი — კარდიფი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 088 | უიკომბი — ბლეკპული | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 22 ოქტომბერი | | | |
| 089 | სუონსი — როჩდეილი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 090 | ბარნეტი — ტორკი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 091 | კარლაისლი — ჰალიფაქსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 092 | ჩელტენემი — ბრაიტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 093 | ჰარტლპული — ლეიტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 094 | ლინკოლნი — ჩესტერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 095 | მაკლსფილდი — ექსეტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 096 | ნორთჰემპტონი — როტერჰემი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 097 | პიტერბრო — საუთენდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 098 | პლიმუთი — დარლინგტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 099 | შრიუსბერი — მენსფილდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 100 | იორკი — ჰალი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 101 | რენი — სენტ ეტიენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 102 | ბორდო — მარსელი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 103 | მეცი — ლე ავრი | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 104 | პსჟ — სედანი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 105 | ლიონი — ნანსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 106 | სტრასბური — ნანტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 107 | მონაკო — ოსერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 108 | მონპელიე — ბასტია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 109 | ტრუა — ლანსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 110 | ნიორი — აიაჩო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 111 | ლე მანი — ნიცა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 112 | კანი — ლავალი | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 113 | ვალანსი — გინგამი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 114 | ლორიანი — ამიენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 115 | გენიონი — ლილი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 116 | ტულუზი — ლუანი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 117 | ვასკეალი — შატორუ | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 118 | კრეტეი — სოშო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 119 | კაენი — ნიმი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### იტალია. სერია A. VII ტური .

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 120 | პერუჯა — ვენეცია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 121 | ინტერი — მილანი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 122 | ბარი — იუვენტუსი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 123 | ბოლონია — ვერონა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 124 | კალიარი — უდინეზე | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 125 | ლაციო — ლეჩე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 126 | პიაჩენცა — ფიორენტინა | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| 127 | რეჯინა — პარმა | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 128 | ტორინო — რომა | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### იტალია. სერია B. VIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 22 ოქტომბერი | | | |
| 129 | ჯენოა — სამპდორია | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 130 | ატალანტა — პისტოიეზე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 131 | ბრეშა — ტერნანა | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 132 | ჩეზენა — რავენა | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| 133 | ემპოლი — პესკარა | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| 134 | სალერნიტანა — მონცა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 135 | სავოია — ალძანო | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 136 | ტრევიზო — ნაპოლი | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| 137 | ვიჩენცა — კოზენცა | 1,5 | 2,9 | 7,5 |
| | 25 ოქტომბერი | | | |
| 138 | კიევო — ფერმანა | 1,6 | 2,8 | 6,5 |

### იტალია. სერია C1A. VIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 139 | კრემონეზე — მოდენა | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 140 | ლეკო — ალბინოლეფე | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 141 | ლუკეზე — კომო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 142 | პიზა — ბრეშელო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 143 | რეჯანა — კარარეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 144 | სანდონა — მონტევარკი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 145 | სიენა — ჩიტადელა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 146 | სპალ — ლუმეცანე | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 147 | ვარეზე — ლივორნო | 2,0 | 2,7 | 3,6 |

### იტალია. სერია C1B. VIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 148 | არეცო — კროტონე | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 149 | ატლეტიკო — ნოჩერინა | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 150 | აველინო — კატანია | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 151 | დი სანგრო — ლოდიჯანი | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 152 | ფ. ანდრია — ჯულიანოვა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 153 | გუალდო — ანკონა | 2,8 | 2,7 | 2,4 |
| 154 | სტაბია — ბენევენტო | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 155 | მარსალა — პალერმო | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| 156 | ვიტერბეზე — ასკოლი | 2,5 | 2,7 | 2,7 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 157 | სევილია — რეალი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| 158 | ბარსელონა — ბილბაო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 159 | ვალენსია — დეპორტივო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 160 | სარაგოსა — რასინგი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 161 | სელტა — ესპანიოლი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 162 | სოსიედადი — ალავესი | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 163 | რაიო ვალეკანო — ბეტისი ($15^{00}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 164 | ატლეტიკო — ვალიადოლიდი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 165 | ოვიედო — ნუმანსია | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 166 | მალიორკა — მალაგა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 167 | ლევანტე — ტენერიფე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 168 | ვილიარეალი — სპორტინგი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 169 | ელჩე — უელვა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 170 | ეიბარი — ტოლედო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 171 | ხეტაფე — მერიდა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 172 | ბადახოსი — ატლეტიკო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 173 | ალბასეტე — ლეგანესი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 174 | სალამანკა — ოსასუნა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 175 | ლეიდა — კომპოსტელა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 176 | ლოგრონიესი — კორდობა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 177 | ესტრემადურა — ლას პალმასი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### პორტუგალია. VIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 22 ოქტომბერი | | | |
| 178 | სეტუბალი — ფარენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 179 | გიმარაეში — პორტუ | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 180 | სპორტინგი — ბრაგა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 181 | მარიტიმუ — ალვერკა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 182 | სალგეირუში — ჟილ ვისენტე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 183 | ლეირია — კამპომაიორენსე | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 184 | სანტა კლარა — ამადორა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 185 | ბენფიკა — ბოავიშტა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 186 | ბელენენსეში — რიუ ავე | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ჰოლანდია. X ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 22 ოქტომბერი | | | |
| 187 | ალკმარი — ჰერენვენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 188 | კამბური — გრააფსხაპი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 189 | სიტარდი — სპარტა | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 190 | პსვ — ტვენტე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 191 | ტილბურგი — მაასტრიხტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 192 | ფეიენოორდი — ნაიმეგენი ($17^{30}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 193 | როდა — ვიტესი ($17^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 194 | უტრეხტი — ვალვაიკი ($17^{30}$) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 195 | აიაქსი — დენ ბოსხი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

### ბელგია. X ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 196 | გენტი — სენტ ტრუიდენი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 197 | სტანდარდი — ლომელი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 198 | შარლერუა — ლიერსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 199 | მეხელენი — ბეერსხოტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 200 | ვესტერლო — ლოკერენი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 201 | მუსკრონი — ბევერენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 202 | ჰარელბეკე — აალსტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 203 | გენკი — ბრიუგე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 204 | ანდერლეხტი — გეელი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

### საბერძნეთი. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 205 | კალამატა — პანაჰაიკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 206 | ეთნიკოსი — პანათინაიკოსი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 207 | პროდეფტიკი — ქსანთი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 208 | ირაკლისი — პაოკ | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 209 | პანიონიოსი — ოფი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 210 | პანილიაკოსი — აეკ | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 211 | აპოლონი — არისი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 212 | ოლიმპიაკოსი — ტრიკალა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 213 | კავალა — იონიკოსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### ჩეხეთი. XI ტური

22 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 214 | ბანიკი — ბრნო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 215 | ლიბერეცი — სპარტა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 216 | ბოჰემიანსი — დუკლა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 217 | ჰრადეც კრალოვე — ბუდეიოვიცე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 218 | სიგმა — ოპავა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 219 | დრნოვიცე — ვიქტორია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 25 ოქტომბერი | | | |
| 220 | ბლშანი — ტეპლიცე | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 221 | სლავია — იაბლონეცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### პოლონეთი. XIII ტური

23 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 222 | რაძიონკოვი — ლეხი ($17^{00}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 223 | პოგონი — პლოცკი ($15^{00}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 224 | სტომილი — ოდრა ($16^{00}$) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 225 | ლკს — გურნიკი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 226 | გროცლინი — ვიძევი ($17^{00}$) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 227 | პოლონია — ლეგია ($17^{30}$) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 228 | რუხი — ამიცა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 229 | ვისლა — ზაგლებე ($17^{30}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### უკრაინა. XIII ტური

23 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 230 | ნივა — დინამო | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 231 | ცსკა — მარიუპოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 232 | მეტალისტი — პრიკარპატია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 233 | კარპატი — შახტარი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 234 | ჩორნომორეცი — ზაპოროჟიე | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 235 | მეტალურგი — ვორსკლა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 236 | ზირკა — კრივბასი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 237 | ტავრია — დნიპრო | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### თურქეთი. VII ტური

22 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 238 | ბურსა — გალათასარაი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 239 | ბეშიქთაში — ისთანბული | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 240 | ერზურუმი — ტრაბზონი ($16^{00}$) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 241 | გენჩლერბირლიგი — გაზიანთეფი ($17^{00}$) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 242 | გიოზთეფე — ადანა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 243 | ვანი — ქოჯაელი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 244 | ფენერბაჰჩე — ანკარაგიუჯიუ | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 245 | დენიზლი — ალთაი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 246 | სამსუნი — ანთალია | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შოტლანდია. XI ტური

23 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 247 | აბერდინი — კილმარნოკი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 248 | დანდი იუნაიტედი — მოზერუელი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 249 | ჰიბერნიანი — დანდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 250 | სენტ ჯონსტონი — სელტიკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

### ავსტრია. XVII ტური

22 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 251 | აუსტრია — შტურმი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 252 | ლინცერი — ბრეგენცი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 253 | ლუსტენაუ — რაპიდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 254 | ზალცბურგი — რიდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 255 | გრაცერი — ტიროლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შვეიცარია. XVI ტური

23 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 256 | ლოზანა — ლუცერნი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 257 | არაუ — დელემონი ($17^{30}$) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 258 | ციურიხი — სერვეტი ($17^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 259 | ლუგანო — ივერდონი ($17^{30}$) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 260 | ბაზელი — სენტ გალენი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 261 | ქსამაქსი — გრასჰოპერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### დანია. XIV ტური

24 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 262 | ვიბორგი — ორჰუსი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 263 | კოპენჰაგენი — ჰერფიოლგე | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 264 | აკადემისკი — ლიუნგბიუ | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 265 | ოდენსე — ვაილე | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 266 | ოლბორგი — ბრიონდბიუ | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 25 ოქტომბერი | | | |
| 267 | სილკებორგი — ესბიერგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### რუსეთი. XXVIII ტური

23 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 268 | ალანია — შინიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 269 | კრილია სოვეტოვი — ზენიტი | 2,2 | 2,9 | 2,8 |
| 270 | დინამო — სპარტაკი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 271 | ჟემჩუჟინა — როტორი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 272 | სატურნი — როსტსელმაში | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| 273 | ნ. ნოვგოროდი — ტორპედო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 274 | ურალანი — ჩერნომორეცი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 275 | ლოკომოტივი — ცსკა | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### შვედეთი. XXV ტური

23 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 276 | აიკ — მალმიო ($16^{30}$) | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 277 | იორგრიტე -- ნორჩიოპინგი ($16^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 278 | ფრიოლუნდა -- ჰალმსტადი ($16^{30}$) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 279 | ელფსბორგი — იორებრო ($16^{30}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 280 | ტრელებორგი — კალმარი ($16^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 281 | იურგარდენი — გიოტებორგი ($16^{30}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 282 | ჰელსინგბორგი — ჰამარბი ($16^{30}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ნორვეგია. XXVI ტური

23 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 283 | ბოდიო გლიმტი — სკეიდი | 2,0 | 2,9 | 2,5 |
| 284 | ბრანი — მოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 285 | მოლდე — ლილესტრიომი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 286 | სტრიომსგოდსეტი — ტრომსიო | 1,9 | 3,0 | 3,0 |
| 287 | ვოლერენგა — კონგსვინგერი | 1,6 | 3,3 | 4,4 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 288 | რუსენბორგი — ოდ გრენლანდი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 289 | ვიკინგი — სტაბეკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია. IX ტური | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| ინგლისი. XII ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი. XII ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| იტალია. VII ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. IX ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |

### ჰოკეი. NHL

22 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 835 | ბუფალო — კაროლინა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 836 | ფლორიდა — კალგარი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 837 | დეტროიტი — ანაჰაიმი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 838 | რეინჯერსი — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 839 | დალასი — ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 840 | ლოს ანჯელესი — ფინიქსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | 23 ოქტომბერი | | | |
| 841 | ტორონტო — მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 842 | ოტავა — ბუფალო | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 843 | აილენდერსი — ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 844 | ატლანტა — კოლორადო | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 845 | პისტბურგი — კაროლინა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 846 | ტამპა ბეი — კალგარი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 847 | ჩიკაგო — დეტროიტი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 848 | სენტ ლუისი — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 849 | ნეშვილი — ედმონტონი | 1,9 | 4,4 | 3,4 |
| 850 | ფინიქსი — ვაშინგტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 851 | სან ხოსე — ბოსტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 852 | რეინჯერსი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 853 | ფილადელფია — ფლორიდა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 854 | ანაჰაიმი — ბოსტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 855 | ლოს ანჯელესი — სან ხოსე | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | 25 ოქტომბერი | | | |
| 856 | ტორონტო — დალასი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

### რაგბი. მსოფლიოს თასი. მეოთხედფინალი

23 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 857 | უელსი — ავსტრალია | 4,4 | 7,0 | 1,15 |
| | 24 ოქტომბერი | | | |
| 858 | ს. აფრიკა — ინგლისი ($17^{00}$) | 1,4 | 7,0 | 2,5 |
| 859 | საფრანგეთი — არგენტინა | 1,2 | 7,0 | 3,8 |
| 860 | ახ. ზელანდია — შოტლანდია | 1,05 | 7,0 | 9,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# საუკუნის საქმე

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— მერე, შეგხვდათ უსიამოვნებები?**

— იყო რალაც ზარები, შეხვედრები, ოღონდ არა საპროტესტიო ან აგრესიული. უბრალოდ, ეს იყო განაწყენებული ხალხი, რომლებსაც გული დასწყდათ, უფრო მაღალ ადგილებზე რომ ვერ გავიდნენ. ასე რომ ვიმსჯელოთ, მაშინ სპორტული შეჯიბრებები საერთოდ არ უნდა ტარდებოდეს, რადგან ყველა ვერ გაიმარჯვებს. ავუხსენით, რომ ყველას დამსახურება ისტორიაში შევა, ჩვენ კი მათი ნალვაწი მხოლოდ სიდიდის მიხედვით დავალაგეთ. ისე, ჩემთვის მათი პოზიციაც გასაგებია. ალბათ დამეთანხმებით, იმის შიშით, ვინმე არ გაგვნაწყენებოდა, ამ საქმიდან უკან დახევა არ ღირდა. გვსურდა, შეგვეჯამებინა საუკუნეში მიღწეული და გვეჩვენებინა, რა საქმეები გაკეთებულა ქართულ სპორტში.

**— ჟიური რა პრინციპით შეირჩა?**

— აქცენტი გამოცდილ ჟურნალისტებზე და იმ ხალხზე გაკეთდა, ვინც ახლოსაა სპორტთან. ამიტომ მოხვდნენ მასში პოეტი ტარიელ ჭანტურია, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, მწერალი ნუგზარ შატაიძე, მეცნიერი გივი გამრეკელი... ვისაც წაუკითხავს მათი წერილები სპორტზე, მათ კომპეტენტურობაში დამერწმუნება. ჟიურიში რამდენიმე ისეთი ადამიანიც შევიყვანეთ, რომელიც სპორტში საქმიანობს. ძირითადი კრიტერიუმი სპორტის სფეროში კომპეტენტურობა უნდა ყოფილიყო.

**— გაწეული სამუშაოთი კმაყოფილი ბრძანდებით?**

— ამ კითხვაზე პასუხისას მთლად ობიექტური ვერ ვიქნები. ისე, ამის პასუხი არანაკლებად მაინტერესებს იმ ადამიანებისგან, რომლებიც 19 ოქტომბერს ფილარმონიის დარბაზში ისხდნენ და იმ ტელემაყურებლებისგან, რომლებიც სულ მალე იხილავენ იმ საღამოს ჩანაწერს ტელეეკრანებიდან.

ვინც ეს ღონისძიება ჩავიფიქრეთ, ვიცოდით, რომ შეიძლებოდა, დაგვკლებოდა მატერიალურ-მორალური მხარდაჭერა, მაგრამ მონდომება — არც ერთ შემთხვევაში. ასეც მოხდა და რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. მცირე ძალებით, მცირე ფინანსებით დიდი სამუშაო შესრულდა. ეს არაა მხოლოდ სპორტი. ეს ქართული კულტურის, ისტორიის ნაწილს მართლაც დიდი მონაპოვრის შეჯამებაა. დასაწყისში კი ვიმედოვნებდით, დამხმარეები გამოგვიჩნდებოდნენ, მაგრამ სხვისი იმედით ეს საქმე მაინც არ დაგვიწყია. გული მწყდება, რომ ბევრი ხელსაც კი გვიშლიდა. მე არ დავასახელებ კონკრეტულ გვარებს, შეიძლება ეს არც მომავალში გავაკეთო, მაგრამ ლაპარაკია მათზე, ვისაც ჩვენზე მეტად ევალებოდათ ამ საქმის გაკეთება.

**— თქვენ ახსენეთ ზოგადად გუნდი, რომელმაც გასწია ამ ტვირთის სიმძიმე. მოდით, მკითხველს უფრო ახლოს გავაცნოთ ეს ხალხი.**

— ესენი არიან ჩვენი ასოციაციის წევრები — ლევან ბერიაშვილი, არჩილ ბეჟანიშვილი, დავით ჭელიძე და დავით ჟვანია, ამ იდეის დაბადების დღიდან დღედალამ რომ მხოლოდ ამ საქმით იყვნენ დაკავებულნი. ეს იყო სამუშაო ჯგუფი. აქვე ვიტყვი 48-კაციანი ჟიურის და 15-კაციანი საორგანიზაციო კომიტეტის შესახებ. მათ შორისაც იყვნენ გამორჩეულად მონდომებულები. ერთი მათგანია თბილისის საკრებულოს წევრი ირაკლი ქავთარაძე, რომელიც ძალიან დაგვეხმარა. გამოგვეხმაურა საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, რომელიც საპრიზო ფონდის შევსებაში შეგვეშველა. აქვე უნდა აღვნიშნო, „აბსოლუტ ჰოვარდ ენჯერჯის“ პრეზიდენტი გივი თალაკვაძე და მეგაკომი, რომელიც უსასყიდლოდ მოგვემსახურა. მადლობა „შერატონ მეტეხი პალასის“ დირექციას, რომელმაც საზეიმო წვეულება სიმბოლურ ფასებში მოგვიწყო. ამასთან, უამრავი წერილი დაიბეჭდა გაზეთებში. პრესა-ტელევიზიამ უფასოდ გაგვიკეთა რეკლამები. ამხელა საქმე რომ უსპონსოროდ დაგვირგვინდა, მათი დამსახურებაა. თუმცა ისეთი ფირმებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც დახმარებაზე უარი გვითხრეს. ჩემთვის გაუგებარია მათი პოზიცია. ეს არ იყო კომერციული ღონისძიება. ჩვენ იმ სპორტსმენთა ღვაწლის დაფასება, მათთვის პატივის მიგება გვსურდა, რომლებიც წლების განმავლობაში გვახარებდნენ. ამიტომ ვთავაზობდით თანამშრომლობას იმ ფირმებს. თან, მათი პროდუქციის რეკლამასაც ვპირდებოდით, მაგრამ მაინც არ ისურვეს მონაწილეობა. დღეს, როცა ყველაფერი უკან დარჩა, მიხარია, რომ ჩვენ ამ საქმეს თავი გავართვით.

**— გატყობთ, ხელის შემშლელი მიზეზი მრავლად გქონიათ.**

— ეს საქმე ჩვენ უნდა დაგვეწყო და გაგვეკეთებინა, მაგრამ მხოლოდ ჩვენიც ხომ არ იყო. ვისაც დახმარება ევალებოდა, ისინი ხელს რომ არ შეგვიწყობდნენ, ამას ველოდი, მაგრამ ხელს თუ შემიშლიდნენ, არ მეგონა. მინდოდა, საპრიზო ფონდიც უფრო დიდი ყოფილიყო. ნონა გაფრინდაშვილს რომ მანქანა აჩუქეს. ის გაცილებით მეტს იმსახურებს. სხვებსაც, მეტი ეკუთვნოდათ, მაგრამ ბოლოს საპრიზო ფონდი კი არა, ორგანიზაციულ ხარჯებსაც ძლივს აუვედით.

**— 19 ოქტომბერს ოლიმპიურმა კომიტეტმა 10 წლის იუბილე იზეიმა. ეს ღონისძიება თქვენსას დაემთხვა და საზოგადოებაში ისეთი აზრი წარმოშვა, რომ ორივეს ერთი ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა. რატომ მოხდა დამთხვევა?**

— ეს ოლიმპიური კომიტეტის იდეა იყო. ლაპარაკია ერთ დღეს ჩატარებაზე, თორემ მათ თავიანთი საქმე ჰქონდათ, მე — ჩემი. ისე, მე ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრიც ვარ და ის ღონისძიება მეც მეხება, მაგრამ მიმაჩნია, რომ რეფერენდუმი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ოლიმპიური კომიტეტის 10 წლის იუბილე.

საბოლოოდ ამ თარიღების დამთხვევამ მუშაობაში ხელიც შეგვიშალა. მაგალითად, მხარდამჭერთა პოვნა დასწრებაზე იყო, თუმც სულაც არ ვფიქრობ, რომ ოლიმპიურ კომიტეტს სურდა, ჩემთვის ხელი შეეშალა. მათ გულით უნდოდათ, ერთად გვემუშავა. მართლაც ბევრს ეშლება რეფერენდუმის მომწყობთა ვინაობა. მინდა ყველამ იცოდეს — იგი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ჩაატარა. ეს ჩვენი ვალი იყო.

**— 19 ოქტომბრის პროგრამა თავიდან რომ გქონდეთ გასაკეთებელი, რას შეცვლიდით მასში?**

— აბსოლუტურად არაფერს. უბრალოდ, არ დავამთხვევდი არც არჩევნებს და არც ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო სხდომას. მათ ერთგვარად მიჩქმალეს რეფერენდუმის მნიშვნელობა. მის სცენარზე დიდხანს ვიმუშავეთ. რეჟისორმა არმაზ ბურნაძემ, მხატვარმა სიმონ მაჩაბელმა, კომპოზიტორმა იაკობ ბობოხიძემ, წამყვანმა ჯემალ მონიავამ სული და გული ჩააქსოვეს მასში. თავიდან გვინდოდა, ორი წამყვანი ყოფილიყო და მონიავასთვის პარტნიორობა მანდილოსანს გაეწია, მაგრამ ქალისთვის ეს ძნელი საქმეა. ამიტომ არჩევანი იმ საღამოს წარმოდგენილ სცენარზე შეჩერდა.

**— როცა საუკეთესო გუნდად 1981 წლის თბილისის „დინამო“ დასახელდა, არ აჟღერებულა საგანგებოდ დაწერილი ქართული ფეხბურთის უკვდავი სიმღერა „დინამო, დინამო“. მისი ავტორი, დარბაზში მისი ავტორი — ვაჟა აზარაშვილი იჯდა. არც ამას შეცვლიდით? ან რატომ გაკეთდა ასე?**

— ეს რეჟისორმა გადაწყვიტა. მან ისურვა, რომ საღამო მხოლოდ ქართული ხალხური სიმღერების ფონზე ჩატარებულიყო. მის საქმეებში არ ჩავრეულვარ.

**— ბატონო ელგუჯა, მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენოთ დებულება, რომლითაც გამარჯვებულები გამოვლინდნენ.**

— ეს დებულება გაზეთებშიც გამოქვეყნდა, სადაც ყველაფერი დეტალურად იყო აღწერილი. ასეთი რეფერენდუმი საუკეთესო სპორტსმენთა გამოვლენას ემსახურება, ჩვენ კი უფრო შორს წავედით. მგონი, ასე სჯობს. ჩვენ საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების გუნდების, მწვრთნელების სპორტულ მოღვაწეთა გამოვლენა გვსურდა, ამიტომ დავამატეთ სხვადასხვა ნომინაციები. საქართველოს უამრავი სახელოვანი სპორტსმენი ჰყავს. არჩევანი დიდია. მათგან ისეთები უნდა გამოგვერჩია, ვისი დამსახურებაც მართლაც საუკუნის მნიშვნელობისაა. არ გვინდოდა, ეს ხალხი დარბაზში მაყურებლებად ყოფილიყო.

დებულების მიხედვით, ანკეტებს ავსებდა ჟიურის 48 წევრი. სპორტსმენი, ვინც 25 პროცენტს ანუ 12 ხმას მიიღებდა, პირველი ეტაპის ლაურეატი ხდებოდა. ასე შეირჩა ისინი, რომლებიც 19 ოქტომბერს ფილარმონიაში ვიხილეთ.

**— თქვენი აზრით, ყველას ღვაწლი სათანადოდ დაფასდა?**

— მეშინოდა, საზოგადოებისთვის მიუღებელი შედეგი არ ყოფილიყო. იქნებ რალაც საკამათო კიდეც იყოს. ეს ისედაც ძნელი საქმეა. აქ ხომ მარტო მედალი არაა მთავარი. გავითვალისწინოთ სპორტის სახეობისა და სპორტსმენის პოპულარობა, მისი პიროვნული თვისებები და ანკეტაც ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ივსება. ბორის პაიჭაძე მედლები ვერ დაიკვეხნის, მაგრამ მაინც ქართველთა კერპია. მხოლოდ მედალს რომ ეძლეოდეს ყურადღება, ის ლაურეატებში ვერც მოხვდებოდა.

დასასრულს, მინდა კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა იმ ხალხს, რომლებიც მხარში ამოგვიდგნენ, დაგვეხმარნენ, გაგვამხნევეს. მასმედიიდან კი „სარბიელს“, „დილის გაზეთს“ და ტელევიზიის II არხს გამოვყოფ, რომლებმაც მართლაც დიდი სამუშაო შეასრულეს, გვეხმარებოდნენ სხვა გაზეთებიც.

**ირაკლი თავაძე**



საზეიმო საღამოს წამყვანი ჯემალ მონიავა, სახელოვანი ლევან თედიაშვილი და საუკეთესოთა დამჯილდოებელი ანზორ ერქომაიშვილი



გივი კარტოზიასთვის განკუთვნილი პრიზი თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ მის ქალიშვილს, ნანას გადასცა



საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ (მარჯვნივ) საგანგებო პრიზით დააჯილდოვა ალექსანდრე ანპილოგოვი

# მსოფლიოს თასი

## ირლანდიური ტრაგედია

20 ოქტომბერი, ლანსი

**ირლანდია 24(15):28(9)არგენტინა**

ირლანდია: ოში, ბიშოპი, ოდრისკოლი, მეგსი, მოსტინი, ჰამფრიზი, ტირნეი, ოკუინეგენი, დეისონი, უარდი, ოკელი, დევიდსონი (კეისი 62), უოლასი (ფიტსპატრიქი 65-73), ვუდი, კორიგენი (ფიტსპატრიქი 73)
ირლანდია: 7 ს — ჰამფრიზი (3, 7, 15, 26, 31, 42, 60); 1 ა — ჰამფრიზი (45)
არგენტინა: კორლეტო (კონტეპომი 68), კამარდონი, სიმონე, არბიზუ, ალბანეზე, კესადა, პიჩოტი, ლონგო, მარტინი, ფელანი, ალუბი, ლობე, ასანი (სელსო 52), ლედესმა, რეჯიარდო
არგენტინა: 1 ლ — ალბანეზე (73); 1 გ. და 7 ს — კესადა (9, 18, 24, 47, 54, 64, 79)
გაფრთხილება: კორლეტო (59), რეჯიარდო (80)
მსაჯი: ს. დიკინსონი (ავსტრალია)

მსოფლიოს თასის დაწყებამდე ირლანდიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ ყველა ღონე იხმარა ნაკრების გასაძლიერებლად. მათ სარფიანი კონტრაქტი გაუფორმეს კერონ დოუსონს და კეიტ ვუდს. არგენტინას არ ჰყავს კაშკაშა ვარსკვლავები, მაგრამ სამხრეთამერიკელთა რიგებში ირიცხება დიეგო კესადა, კაცი, რომელსაც შეუძლია, თამაშის ბედი მარტომ გადაწყვიტოს. „პუმებს" აქამდე ამ მნიშვნელოვანი ტურნირის მეოთხედფინალში არასდროს უთამაშიათ. ოთხშაბათს გამართულ მატჩში მათი გამარჯვების რაგბის მოყვარულებს ნაკლებად სჯეროდათ, მაგრამ სხვანაირად ფიქრობდა კესადა...

მატჩი ირლანდიელთა შეტევებით დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდა ბრიტანელთა შერკინება, მაგრამ არგენტინელებს მათი შეჩერება არ გასჭირვებიათ. საერთოდ, თამამად შეიძლება ეს თამაში ჰამფრიზისა და კესადას დაპირისპირებად მოვნათლოთ. ირლანდიელთა მიერ მოგროვებული 28 ქულა მთლიანად ჰამფრიზის დამსახურებაა, ხოლო „პუმების" მეათე ნომერმა ამ მატჩში 23 ქულა შესძინა თავის გუნდს. თუმც ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. პირველი ნახევარი ირლანდიელთა გამარჯვებით დასრულდა. ჰამფრიზმა ხუთი ცდიდან ხუთჯერ გაატარა ბურთი ძელებს შორის. კესადამ მას მხოლოდ სამი ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმით უპასუხა. ყველაფერი ლოგიკურად მიმდინარეობდა. ბრიტანელები მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ... თამაშის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როდესაც არგენტინელმა დიეგო ალბანეზემ ლელო გაიტანა. ეს კი ასე მოხდა: მარჯვენა გარემარბმა გონსალო კამერდონმა თანაგუნდელისგან ბურთი მიიღო, ძალისმიერ ორთაბრძოლაში მეტოქის ორი მცველი დაჩაგრა, მშვენივრად გადასცა პასი ალბანეზეს და მანაც საკმაოდ ოსტატურად დაამიწა ოვალური ბურთი მოწინაალმდეგის ჩათვლის მოედანში.

კესადამ რთული პოზიციიდან გარდასახა და, ამ მატჩში პირველად, არგენტინის ნაკრები დაწინაურდა 25:24. ცოტა ხანში კესადამ მეშვიდე საჯარიმო დარტყმაც ზუსტად შეასრულა და თავისი მონაგარი მსოფლიოს თასზე 89 ქულამდე გაზარდა. აქ კი ირლანდიელებს მხოლოდ ლელოს გატანა სჭირდებოდათ, რადგან მატჩის დასრულებამდე მსაჯის მიერ დამატებული წუთებილა რჩებოდა, ანგარიშში სხვაობა კი ოთხი ქულა იყო. კუნძულელები შტურმზე გადავიდნენ, მაგრამ არგენტინელებმა თავგანწირული თამაშით შესძლეს მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულება.

ამ გამარჯვებით „პუმებმა" მეოთხედფინალში გააღწიეს და განაგრძობენ ბრძოლას მედლებისთვის. შემდეგ ეტაპზე ისინი ფრანგებს დაუპირისპირდებიან. ირლანდიელები კი დაემშვიდობნენ ტურნირს. მათთვის ასეთი ადრეული მარცხი ნამდვილი ტრაგედიაა.

20 ოქტომბერი, მარიფილდი

**შოტლანდია 35(15):20(6) სამოა**

შოტლანდია: მეტკალფი, კ. მიურეი, მეიერი, მაკლარენი, ლოგენი, თაუნსენდი (ჰოდჯი 74), არმსტრონგი, სიმპსონი, პოუნტნი (მეტერი 67), ლესლი (რასელი 79), ვეირი, ს. მიურეი (გრიმზი 70), გრეჰემი (ბარნელი 77), ბალოკი, სმიტი
3 ლ — საჯარიმო (16), მ. ლესლი (39), კ. მიურეი (73); 1 გ — ლოგენი (16); 5 ს — ლოგენი (40, 42, 48, 55, 70); 1 ა — თაუნსენდი (60)
სამოა: ლეაგა, ლიმა, ვაეგა, ფანოლუა (ტოალა 75), ტუიგამალა, ბეჩოპი (ვაა 71), სოიალო, ლემი, გლენდინინგი, სიტიტი, ტონე, ფალანიკო (ტალა 58), ასი (ალე 65), ლეოტა (მატაუია 36), რეიდი
2 ლ — სიტიტი (67), ლიმა (80); 2 გ. და 2 ს — ლეაგა (25, 40)
მსაჯი: დ. მაკჰიუგი (ირლანდია)

სამოას ნაკრებმა უკვე მოახდინა სენსაცია, როდესაც ტურნირის მასპინძელი და უდავო ფავორიტი დაამარცხა. მათგან ამ მატჩშიც ელოდნენ ძლიერ თამაშს, მაგრამ შოტლანდიამ დაამტკიცა თავისი კლასი. თუმც მათი მთავარი მწვრთნელი ჯიმ ტელფერი უკმაყოფილო დარჩა: „ჩვენ ნორმალურად ვითამაშეთ, მაგრამ ხშირად ვკარგავდით ბურთს უწყინარ სიტუაციაში". ამას ზელანდიელები ნამდვილად არ გვაპატიებენ, მათ გაცილებით მაღალი დონის შემსრულებლები ჰყავთ, ვიდრე სამოელებს". შეგახსენებთ, რომ შოტლანდიელები და ზელანდიელები 20-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აქედან ბრიტანელებმა ერთხელაც ვერ გაიმარჯვეს. მომავალი მატჩისათვის ოპტიმისტურად არის განწყობილი სკოტთა ლიდერი გრეგორი თაუნსენდი: „მთავარია, სამოას ბარიერი დავძლიეთ და ნათლად დავინახეთ ხარვეზები, ზელანდიელებთან გაცილებით უკეთ ვითამაშებთ. არა მგონია, იოლად დავმარცხდეთ. მე პირადად გამარჯვების მჯერა".

შოტლანდიელთა თამაშში მართლაც შეინიშნება ხარვეზები, მაგრამ მათ იმდენად ძლიერად ჩაატარეს მატჩი, რომ სამოას არანაირი შანსი არ დაუტოვეს გამარჯვების მისაღწევად. სკოტები საჯარიმო ლელომ დააწინაურა. მათ მშვენივრად და, რაც მთავარია, შედეგიანად ითამაშეს მეტოქის ჩათვლის მოედანში. პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ლესლიმ მეორე ლელო გაიტანა. სამოელმა ლეაგამ მათ ორი ზუსტი ჯარიმით უპასუხა.

მეორე ნახევარში ოკეანეთელებმა ორჯერ დალაშქრეს სკოტთა ჩათვლის მოედანი, მაგრამ ლოგენის საჯარიმო დარტყმებს მათ ვერაფერი დაუპირისპირეს.

20 ოქტომბერი, თვიქნემი

**ინგლისი 45 (21): 24 (3) ფიჯი**

ინგლისი: პერი (უორსლი 78), ბილი, გრინვუდი, კეტი, ლაჯერი (დე გლენვილი 40), უილკინსონი (გრეისონი 70), ჰილეი (დეისონი 40), დალალიო, ბეკი, ჯ. უორსლი (ჰილი 45), არჩერი (როდბერი 44), ჯონსონი, გერფორტი (როუნთრი 27), გრინინგი (კოკრილი 70), ლეონარდი
4ლ — ლაჯერი (24), ბეკი (38), ბილი (59), გრინინგი (68); 2 გ — უილკინსონი (25), დეისონი (70); 7 ს — უილკინსონი (2, 8, 14, 46, 49, 54, 64)
ფიჯი: ულუინაიო, ვუნიბაკა (სოტუტუ 56), სატალა, ნაკაუტა, ტიკომაიმაკოგაი (რაულაუნი 75), სერევი (ლითლი 48), რაულუნი, ი. ტავაკე (მალე 48), ს. ტავაკე, სევაბუ, კატალაუ, რაივალუი, ვეტაიაკი, სმიტი (ნატუივო 73), როუზი (რასილა 73)
3 ლ — სატალა (50), ტიკომაიმაკოგაი (62), ნაკაუტა (80); 3 გ — ლითლი; 1 ს — სერევი (5)
გაფრთხილება: ბილი (31)
მსაჯი: კ. ტომასი (უელსი)

ამ წყვილში ფავორიტად ინგლისის ნაკრები ითვლებოდა და მათ გაამართლეს კიდეც გულშემატკივართა იმედები. ბრიტანელებმა დამაჯერებლად სძლიეს ფიჯის ეროვნულ გუნდს, მათ რიგებში მშვენივრად თამაშობდა უილკინსონი, რომელმაც 23 ქულა შესძინა თავის გუნდს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინგლისელთა გამარჯვებაში. ფიჯელები ძირითადად ხელით ათამაშებდნენ ბურთს, და ეს საკმაოდ კარგადაც გამოსდიოდათ, მაგრამ მარტო ლამაზად გათამაშებული კომბინაციები არ აღმოჩნდა საკმარისი მატჩის მოსაგებად.

პირველ ტაიმში უილკინსონის ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმის წყალობით ინგლისელები დაწინაურდნენ. თუმცა სერევიმ მალევე აღადგინა წონასწორობა. ეს იყო და ეს. 24-ე წუთზე ლაჯერმა ლელო გაიტანა, მას არც ბეკი ჩამორჩა და ცხადი გახდა, რომ ბრიტანელები მატჩს არ დათმობდნენ.

მეორე ნახევარში ფიჯელებმა შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, მაგრამ იმ დღეს მშვენივრად მოთამაშე ინგლისელებს რამდენიმე წუთი დასჭირდათ სოლიდური სხვაობის მისაღწევად. ამის შემდეგ მათ მშვიდად ჩაამთავრეს მატჩი და მეოთხედფინალში სამხრეთ აფრიკასთან გასამართი მძიმე ბრძოლისთვის ძალებიც შემოინახეს.

**ბაჩო სვანიძე**



REUTERS ფოტოები

არგენტინელი მორაგბეები მეოთხედფინალში ითამაშებენ

# ასეთია სპორტული ცხოვრება

## დავით პერტენავას 50 სპორტული წელი



დავით პერტენავა — ეს სახელი ყველასთვის ცნობილია, ვინც სპორტში საქმიანობს. იგი ცხრა წლის განმავლობაში (1974-1982) ხელმძღვანელობდა საქართველოს სპორტკომიტეტს. დავით პერტენავას ხვალ სპორტული მოღვაწეობის 50 წელი უსრულდება. ნათქვამია, საქმემ შენმან გამოგაჩინოსო. ჰოდა, ჩვენც დავითვალოთ იმდროინდელი წარმატებები. იმ წლებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა მედლების სარეკორდო რაოდენობა მოიპოვეს — 3000. აქედან მსოფლიოს ჩემპიონის — 22, ევროპის — 48, საბჭოთა კავშირის — 300. ორ ოლიმპიადაზე (1976, 1980) — 18. მათ შორის, 6 ოქროსი, 5 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოსი. ამას დავუმატოთ მოჭადრაკე ქალთა 3 ოლიმპიური ჩემპიონობა, 4 ოლიმპიური, 2 მსოფლიოს, 10 ევროპის, 16 სსრკ-ს და 48 საქართველოს რეკორდი. აგრეთვე მაშინ მომზადებული 400 საერთაშორისო და 2300 სპორტის ოსტატი. ეს ვიქტორ სანეევის და ლევან თედიაშვილის ეპოქა იყო. მათ გვერდით სარბიელზე ქეთევან ლოსაბერიძე, თემურ ყაზარაშვილი, ვახტანგ ბლაგიძე, თეიმურაზ აფხაზავა, თემურ ხუბულური, ტარიელ ჟღენტი, თამაზ იმნაიშვილი, დავით კვაჭაძე, საიდა გუნბა, ირინე გაბაშვილი, ირინე გერასიმოვა, კობა წაქაძე, ალექსანდრე ანპილოგოვი, ალექსანდრე მეტრეველი, ლიანა ცოტაძე, მიხეილ გიორგაძე, მოჭადრაკე ქალთა ბრწყინვალე თაობა გამოდიოდა. ბუნებრივია, ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ დასახელებულთა მიღწევებსაც ბევრი ქვეყანა ინატრებდა. იმ პერიოდში სპორტის ყველა სახეობამ არნახულ შედეგებს მიაღწია. მძლეოსნებმა, მოჭიდავეებმა, მოკრივეებმა, ძიუდოისტებმა, ველოსიპედისტებმა, წყალბურთელებმა, ტანმოვარჯიშეებმა, აკრობატებმა, მოჭადრაკეებმა ოლიმპიადების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს, ხოლო ხელბურთელებმა, ფეხბურთელბმა, ხუთჭიდელებმა, წყალში მხტომელებმა, მოცურავეებმა მანამდე მიუწვდომელი საკავშირო ჩემპიონატები თუ თასები მოიგეს. სწორედ იმ პერიოდს მიეკუთვნება საუკუნის უდიდესი სპორტული მოვლენა (როგორც ახლახან მოწყობილმა რეფერენდუმმა გამოარკვია) — თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა მიერ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოგება და მართლაც დაუვიწყარი 1981 წლის 13 მაისის ღამე საქართველოში.

ეს დიდი ისტორია იმ სპორტულმა ბუმმა მოიტანა, რომელიც მაშინ საქართველოში ტრიალებდა. მაგრამ სპორტული ბაზების გარეშე მაინც არაფერი გამოვიდოდა. დავით პერტენავას დასათვლელი აქაც მოეძევება. მისი ხელმძღვანელობით შეკეთდა და აშენდა სპორტკლუბ „დინამოს" ბაზები (ფეხბურთისაც და კალათბურთისაც), ჩოგბურთის კორტები (დახურულიც და ღიაც), ძიუდოს ცენტრალიზებული დარბაზი, მოჭიდავეთათვის საწვრთნელი ცენტრი „ლოკომოტივზე", ტანვარჯიშის დარბაზი სანაპიროზე, დასრულდა ველოტრეკის მშენებლობა, კაპიტალურად შეკეთდა სპორტის სასახლე, ფალავანთა კლუბი, იპოდრომი... აშენდა საკავშირო მნიშვნელობის კომპლექსური ბაზები სოხუმში, ლესელიძეში, ბაკურიანში, ბათუმში, ნიჩბოსნობის ბაზები ფოთში, მცხეთაში, სიონში, თბილისის ზღვაზე. საქართველოს სხვადასხვა ქალაქში შეიქმნა გამაჯანსაღებელი ცენტრები. მანვე დაასრულა 9 წლით დაკონსერვებული საცურაო კომპლექს „ვერეს" მშენებლობა (დღევანდელი „ლაგუნა-ვერე"), მაგრამ უმთავრესი მაინც თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამოს" სტადიონის აშენება იყო. მისი მშენებლობა 11 წელიწადს ჭიანურდებოდა, ვიდრე პერტენავამ ცკ-ს ბიუროს სხდომაზე მკაცრად არ მოითხოვა მისი დამთავრება. როგორც იქნა, აშენდა სტადიონი მძლეოსნობის ბილიკებით, დამხმარე მოედნებით, კალათბურთის, კრივის, ძალოსნობის, ტანვარჯიშის, ჭიდაობის დარბაზებით, მძლეოსნობის დახურული მანეჟი, სასტუმრო...

ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, დავით პერტენავას სპორტკომიტეტის ხელმძღვანელად მუშაობის დროს მოხდა. არადა, როცა ამ თანამდებობაზე ნიშნავდნენ, რესპუბლიკაში არ იყო მძლეოსნობის ბილიკები, საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველომ ორი ადგილით უკან დაიწია, სპორტის ოსტატებისა და საერთაშორისო ოსტატთა გეგმებში დიდი „გარღვევა" იყო. რაც მთავარია, კრიზისს განიცდიდა ფეხბურთი და თბილისის „დინამო", რომელიც ვარდებოდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგიდან. აი, ასეთ პირობებში დაინიშნა 1974 წელს დავით პერტენავა სპორტის ხელმძღვანელად. მას კარგად იცნობდა რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა. 1961 წლიდან ხომ ის საკავშირო კომკავშირის ცკ-ს სპორტისა და მასობრივი თავდაცვის განყოფილების სპორტის სექტორის გამგედ მუშაობდა.

მას უპირველესად ფეხბურთის აღორძინება დაევალა. საკავშირო სტრუქტურებში მუშაობისას ის ამუშავებდა ესპანური და იტალიური ქვეყნების გამოცდილებას. მან ჩვენს ფეხბურთს გადასცა. მისი მითითებით ჩამოიყვანეს მწვრთნელად მიხაილ იაკუშინი. სულ მალე „დინამომ" საკავშირო თასი მოიგო (ისტორიაში პირველად), რასაც ჩემპიონობა, მედლები, თასები და ევროთასი მოჰყვა. უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა ქუთაისის „ტორპედო".

იგი კარგად იცნობდა საბჭოური სპორტის სისტემას, რაც ქართულ სპორტს მიუსადაგა და ზემოაღნიშნული წარმატებებიც მოიმკო. რა თქმა უნდა, იოლი არ იყო ამ სიმაღლეების დაპყრობა. იოლი არ იყო დისციპლინის განმტკიცება (რაც მას წარმატების უმთავრეს პირობად მიაჩნდა), თუნდაც ყოველ დილას, 7 საათზე, ბაზების ჩამოვლა (რითაც იწყებოდა მისი ყოველდღიური სამუშაო დღე), მაგრამ იცოდა, საქმეს ასე სჭირდებოდა და ისიც ენერგიულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. როცა ზემოაღნიშნულ კომპლექსურ ბაზებზე სავარჯიშოდ სსრკ-ს ნაკრებები ჩამოდიოდნენ, პერტენავა თავისი პრინციპული პოზიციით აზერხებდა, იმ გუნდებთან პერსპექტიულ ქართველ სპორტსმენებსაც რომ ევარჯიშათ. შეკრების ხარჯებს თბილისი კი იხდიდა, მაგრამ ნაკრების წევრებთან ვარჯიში მათთვის რამხელა სკოლა იყო. ბევრმა მათგანმა მერე დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

დავით პერტენავა დღესაც ძველებური შემართებით მიუყვება ძველ გზას. 50-წლიან ტვირთს ვერ მოუღლია ამაგდარი. ქართული სპორტის აღორძინების ცენტრის ხელმძღვანელი სპორტისა და ფეხბურთის სახელმწიფო პროგრამების აქტიური წევრია და იმ დროზე ოცნებობს, როცა ტრიბუნებზე კვლავაც იქნება ანშლაგი.

ქართულ სპორტში დიდხანს ყოფნა და სიკეთე ვუსურვოთ მას.

**ირაკლი თავაძე**

# ისინი ჩამოვიდნენ ავსტრალიიდან

ლიონი. საფრანგეთი. ჩოგბურთის გრან პრი. დარბაზი, ჰარდი.
საპრიზო 750 ათასი 4

დევისის თასის ფინალში თამაშის ეშხით 18 წლის ოზმა ლეიტონ ჰიუიტმა თავისთვის უცნობი ტერიტორიები აითვისა.

„არასოდეს მითამაშია ასეთ ცივ ქვეყანაში და ცხოვრებაში თოვლიც არასოდეს მინახავს. ჩვეულებრივ, ევროპაში მხოლოდ ზაფხულში ჩამოვდივარ. მაგრამ ამჯერად დევისის თასის გამო გადავწყვიტეთ, ყველა აქაურ ტურნირში გვეთამაშა კლიმატთან შესაჩვევად და ფინალისთვის უკეთ მოსამზადებლად" — აღნიშნა გრძელთმიანმა ავსტრალიელმა.

მწვანეკონტინენტელებს 4-6 დეკემბერს სწორედ საფრანგეთთან უწევთ ფინალში შებმა და ჰიუიტს, ალბათ, სიცოცხლეში პირველად გუნდაობაც ეღირსება, მანამ კი ლიონის ტურნირის მეორე წრეში (პირველიდან 16 განთესილი გათავისუფლებული იყო) მას პრინციპული შეხვედრა ელოდა.

ავსტრალიელის მეტოქე მისი თანატოლი, გასული წლის საუკეთესო იუნიორი როჯერ ფედერერი იყო. ასაკის მიუხედავად, ერთიც და მეორეც უკვე გამოცდილ პროფესიონალად შეიძლება ჩათვალოს და ბავშვური ამ მატჩში თითქმის არც არაფერი ყოფილა.

თუ ფედერერი აგრესიული და რისკიანი ჩოგბურთის მიმდევარია, ჰიუიტი ძირითადად მეტოქის შეცდომებსა და კონტრშეტევის შესაძლებლობას ელოდება. შვეიცარიელმა თავისი მძლავრი ფორჰენდითა და ბადესთან გასვლებით მეტოქე მეორე სეტში კი დაჩაგრა, მაგრამ ამასთან საკმარისზე მეტი შეცდომაც დაუშვა და საბოლოოდ გამარჯვება უფრო ზუსტსა და რაციონალურ ოზს დარჩა 7:6 (7:4), 2:6, 6:4.

ჰიუიტის აზრები მატჩის შემდეგაც უფრო დევისის თასს დასტრიალებდა: „ამჟამად არავინ ვართ დარწმუნებული, რომ გუნდში მოვხვდებით. ბევრია იმაზე დამოკიდებული, მოასწრებენ თუ არა პეტი (რაფტერი) და მარკი (ფილიპუსისი) ფორმაში ჩადგომას. სეზონის დასაწყისიდან თასზე უკვე შვიდმა ავსტრალიელმა ვითამაშეთ და თითოეულს მიაჩნია, რომ ფინალში თამაშს იმსახურებს".

თუმცა ჯერჯერობით ჰიუიტის შანსები საუკეთესოდ გამოიყურება: რაფტერი ნოემბრის დასაწყისამდე ჩოგანსაც ვერ გაეკარება, ფილიპუსისი კი კოჭის და მუხლის ტრავმების შემდეგ ძველებურად ველარ ირჯება.

„სკალმა" ლიონში თავისი პირველივე მატჩი წააგო, თანაც მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან ჯიმ კურიეს გადამწყვეტ ხელში აშკარად დანებდა 3:6, 6:3, 1:6.

და რა ხდება ფრანგების ბანაკში?

საფრანგეთის პირველი ჩოგანი და გუნდის ლიდერი სედრიკ პიოლინი (7) აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ საკუთარი თავის აჩრდილსაღა ჰგავს და თამაშს თამაშზე აგებს.

ლიონის ტურნირის მეორე წრეში იგი დევისის თასის გუნდში პირველად მოხვედრის მთავარმა ფავორიტმა, ნიკოლა ესკუდემ გაანადგურა 6:1, 6:0.

23 წლის შიშის მომგვრელი გარეგნობის ფრანგი მამის სიკვდილით გამოწვეული შოკისა და გადატანილი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ საბოლოოდ მოეგო გონს და ბოლო ხანებში შესანიშნავ ფორმაშია: „ოუფენის" მეოთხედფინალისტობის გარდა მან ტულუზში კარიერის პირველი ტურნირიც მოიგო.

ესკუდე დღესდღეისობით საფრანგეთში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. როდესაც ახალგაზრდა ჩოგბურთელმა ლიონის ცენტრალურ სუპერმარკეტში ავტოგრაფების დარიგების სეანსი მოაწყო, რიგში უამრავი მსურველი ჩადგა, მერე კი ბრბო ისე მოეძალა, პოლიციის ესკორტით გასაცილებელი შეიქნა. სამაგიეროდ, ურიგო ავტორაფები მახლობელი პოლიციის განყოფილების თანამშრომლებს ერგოთ.

ლიონის ტურნირის ორგანიზატორებმა და ჩოგბურთელებმა წლეულსაც ჩაატარეს ტრადიციული „სტუმარმასპინძლობის საღამო", რომელსაც ჟურნალისტები და საგანგებოდ მიწვეული სტუმრები დაესწრნენ. გორან ივანიშევიჩმა, ანდრეი მედვედევმა და ტოდ მარტინმა მიმტანის როლი იკისრეს და მორჩილი იერით დაატარებდნენ შამპანურის ჭიქებით სავსე ლანგრებს.

ყველაზე მამაცისთვის განკუთვნილი ჯილდო კი წვეულებაზე ალექს კორეტხას ერგო. იგი ერთადერთი გამოდგა, რომელმაც აკვარიუმში მყოფი მშვინვარე პირანიის გამასპინძლება საკუთარი ხელიდან გაბედა.

თავისდა სამწუხაროდ, ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა ესპანელმა ლიონში სხვაფრივ ვერაფრით გამოიჩინა თავი და ამერიკელ კრის ვუდრაფთან წააგო 5:7, 6:7 (0:7).

„ეს სეზონი ძალიან მძიმე აღმოჩნდა ჩემთვის უამრავი ფიზიკური პრობლემის გამო. აქამდე როგორღაც მოვახერხე კლასიფიკაციაში მაღალი ადგილის შენარჩუნება (მე-10), მაგრამ რამდენიმე კვირაში ბევრ ქულას დავკარგავ და, ალბათ, ოცეულს მიღმა დავრჩები" — დაიჩივლა კორეტხამ.

მეორე წრე: **ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — რიჩი რენებერგი (აშშ) 6:3, 3:6, 6:4; **მაგნუს გუსტაფსონი** (შვედეთი) — ტოდ მარტინი (2, აშშ) 6:1, 4:6, 6:4; **გუსტავო კუერტენი** (3, ბრაზილია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:4); **მიქაელ ტილსტრომი** (შვედეთი) — ტომი ჰაასი (5, გერმანია) 6:2, 7:6 (7:4); **ვინს სპედეა** (8, აშშ) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 2:6, 6:1, 6:4; **მარიანო ზაბალეტა** (11, არგენტინა) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:4, 6:4; **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) — ანდრეი მედვედევი (14, უკრაინა) 6:3, 7:5; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — მარატ საფინი (15, რუსეთი) 6:1, 6:4



ლეიტონ ჰიუიტი

მოსკოვი. რუსეთი. ქალების „კრემლის თასი".
დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 1,05 მილიონი 4

როგორც წესი, წლის ამ დროისთვის უკვე საკმაოდ მოყინულ რუსეთის დედაქალაქში წამყვან ჩოგბურთელ ქალებს დოლარების ტომრებითაც ვერ ჩაიყვან. წლეულსაც ზედ ტურნირის დაწყების წინ ერთბაშად რამდენიმე ვარსკვლავმა — მონიკა სელეშმა, ამანდა კუტცერმა, ამელი მორესმომ და ორგანიზატორთათვის ყველაზე სამწუხაროდ, ანა კურნიკოვამაც სხვადასხვა მიზეზის გამო ასპარეზობაზე უარი თქვა.

თავად კურნიკოვა მოსკოვში გახლდათ და კენჭისყრის ცერემონიასაც დაესწრო, მაგრამ ფეხის გაბზარული ძვლის ბოლომდე მორჩენა მაინც ვერ მოასწრო და დანაშაული იმითღა გამოისყიდა, საგაისოდ რუსეთის ჩოგ-



კონჩიტა მარტინესი

ბურთის ფედერაციას ფედერაციის თასზე ასპარეზობას დაჰპირდა.

თუმცა კურნიკოვას გარეშეც რუსეთის ქალთა ჩოგბურთში ამჟამად დიდი აღმასვლაა და ამომავალი ვარსკვლავების ნაკლებობასაც არ განიცდიან.

აი, ნადეჟდა პეტროვამ, თბილისის ქალთა ღია პირველობის 1997 წლის ჩემპიონმა, პირველივე წრეში მეექვსედ განთესილი კონჩიტა მარტინესი დაამარცხა 6:1, 6:4. 18 წლის რუსმა ამ გამარჯვებით იმავე მეტოქესთან და იმავე ტურნირში შარშან სამარცხვინოდ წაგებისთვის (0:6, 0:6) იძია შური.

„ჩვენი ბოლო შეხვედრიდან მთელი წელი გავიდა და მეც ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ვისწავლე, თანაც მაშინ სიცხიანმა ვითამაშე" — განაცხადა პეტროვამ, რომელიც ზაფხულში თვით მარტინა ჰინგისმა მიიწვია შინ, შვეიცარიაში ერთად სავარჯიშოდ.

ყველაზე მეტად კი რუსეთში 15 წლის ლინა კრასნარუცკაიასი ეიმედებათ, რომელიც იუნიორების უიმბლდონის ფინალისტი, აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახლავთ. რამდენიმე კვირის წინ ჩოგბურთის მწვრთნელთა ოჯახში გაზრდილმა ლინამ ლუქსემბურში პროფესიონალთა შორისაც იასპარეზა და ნახევარფინალში გააღწია.

მოსკოვში პირველ წრეში კლასიფიკაციით 219-ე კრასნარუცკაიამ უმძლავრესი დარტყმებით გააოგნა ხორვატი სილვია ტალაია, 6:1, 3:6, 6:2 მოიგო და ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტ, ბელგიელ დომინიკ ვან რუსტთან (5) დაიბევა შეხვედრა.

პირველი წრე: **ვან რუსტი** — პატი შნიდერი (შვეიცარია) 7:5, 6:2; **სილვია ფარინა** (იტალია) — სანდრინ ტესტიუ (7, საფრანგეთი) 6:3, 6:4; **რუქსანდრა დრაგომირი** (რუმინეთი) — ელენა ლიხოვცევა (8, რუსეთი) 6:2, 7:5; **სარა პიტკოვსკი** (საფრანგეთი) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:3, 6:4; **ანასტასია მისკინა** (რუსეთი) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:4, 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**



# ხმლები დაბლაგვებულან

20 ოქტომბერი

**დეტროიტი — სან ხოსე 6:3**

0:0 2:1 4:2

0:1 ფრიზენი 29'16 (7); 1:1 შენაჰანი 31'42 (2); 2:1 ლაპოინტა 39'01 (1); 3:1 მაკარტი 41'30 (1); 3:2 სტიუარტი 42'10 (3); 4:2 ლარიონოვი 43'35 (3); 5:2 ფიოდოროვი 45'59 (3); 5:3 დამფუსი 51'13 (2); 6:3 ბრაუნი 54'10 (3)

ანგარიში სრულიად შემთხვევით გაიხსნა: დარტყმისთვის მომზადებულ ჯეფ ფრიზენს მეტოქეებმა შაიბა აართვეს, მაგრამ იგი ლარი მერფის ციგურას მოხვდა და კარში აღმოჩნდა. სან ხოსეს ნამდვილად უჯობდა, არ დაწინაურებულიყო — გაშვებულმა გოლმა დეტროიტელები, რომლებიც მანამდე ძალიან ღელავდნენ, დაამშვიდა და მასპინძლები ჩვეულ სტილში ათამაშდნენ. თვით გასული კვირის ლაურეატმა, სან ხოსეს გოლკიპერმა სტივ შილდსმაც კი ვერ იხსნა თავისი გუნდი „წითელფრთიანთა" რისხვისაგან და ეს ექვსი გოლი გაუშვა (თუმცა თავად არც ერთში არ მიუძღვის ბრალი). აქედან მეხუთე სერგეი ფიოდოროვის ანგარიშზეა, რომლისთვისაც ეს ზედიზედ მეექვსე შედეგიანი მატჩია. სტუმრებს ის თუ ანუგეშებთ, რომ მათი ლიდერი ოუენ ნოლანი (1 პასი) უქულოდ არ დარჩა და ზედიზედ ჩატარებულ 10 თამაშში 17 (8+9) ქულა მოაგროვა. დეტროიტელთა თავდაპირველი მღელვარება კი ბრენდან შენაჰანმა მატჩის შემდეგ იმით ახსნა, რომ მისი გუნდი ჩემპიონატის ლიდერთან ნამეტანი ფრთხილობდა.

**ბუფალო — ნეშვილი 3:4**

0:2 1:2 2:0

0:1 ლეგვანდი 0'46 (2); 0:2 კრივოკრასოვი 12'41 (2); 1:2 სანდერსონი 28'55 (1); 1:3 რონინგი 30'15 (3); 1:4 ჩელბერგი 37'23 (2); 2:4 ბრაუნი 49'14 (3); 3:4 პიტისი 50'09 (1)

როგორც ჩანს, ბუფალოს საქმეები სულ უკან-უკან მიდის. ვისთან, თუ არა ნეშვილთან, „ხმლებს" უნდა შეეწყვიტათ თავიანთი უიღბლობა, მაგრამ იმდენი მოახერხეს, ლიგაში ერთ-ერთი უსუსტესი თავდამსხმელებისგან ოთხი შაიბა გაუშვეს. თანაც, ვერც დომინიკ ჰაშეკი გახლდათ გუნებაზე. „დომინატორმა" მე-13 წუთამდე ორი იოლი დარტყმა ვერ მოიგერია და პირველივე პერიოდის შემდეგ შესაცვლელი შეიქნა. მართალია, მასპინძლებს რამდენჯერმე შეეძლოთ დომინიკ პიტისის გოლის (ნჰლ-ში პირველი) გაქვითვა, მაგრამ ანგარიში ვერა და ვერ გაათანაბრეს.

**ფლორიდა — ვანკუვერი 5:2**

1:0 1:0 3:2

1:0 შვეჰლა 12'59 (3); 2:0 კვაშა 31'33 (1); 3:0 ნიდერმაიერი 40'53 (1); 3:1 მეი 42'53 (1); 4:1 სტიუარტი 54'07 (1); 4:2 შეფერი 56'31 (2); 5:2 კოზლოვი 59'39 (2)

ფლორიდის ლიდერმა პაველ ბურემ გადაწყვიტა, ჯანმრთელობას მოფრთხილებოდა და მატჩი გამოეტოვებინა, მაგრამ „რუსული რაკეტის" პარტნიორებმა მის არყოფნაშიც იყოჩაღეს. განსაკუთრებით ბურეს თანამემამულეებმა — ოლეგ კვაშამ (1+1), ვიქტორ კოზლოვმა და სლოვაკმა რობერტ შვეჰლამ მოინდომეს. ამ უკანასკნელმა გოლიც გაიტანა და ორჯერ პასით თანაგუნდელებიც აზეირა.

**მონრეალი — კოლორადო 1:2**

0:1 0:1 1:0

0:1 ჰეიდუკი 16'13 (5); 0:2 ჰეიდუკი 25'03 (6); 1:2 სავაჟი 50'56 (9)

ჯერჯერობით მონრეალელთა გოლები ძირითადად სავაჟს გააქვს (გუნდის 18 შაიბიდან ნახევარი მის ანგარიშზეა), რაც საერთო წარმატებისთვის ძალიან ცოტაა. თუმცა, რომ არა კოლორადოს მეკარე პატრიკ რუა, კანადელთა ფორვარდი თავის გუნდს ბოლო წუთზე ქულასაც მოუტანდა.

**ფილადელფია — რეინჯერსი 5:0**

1:0 2:0 2:0

1:0 დესჟარდენი 13'56 (2); 2:0 ზელეპუკინი 24'43 (3); 3:0 რეკი 31'12 (3); 4:0 ჰალი 49'34 (1); 5:0 განი 59'41 (4)

ფილადელფია „გამოჯანმრთელების" გზას ადგას. წინ მარკ რეკი მიუძღვის. სანამ ლინდროსი და ლეკლერი ტრავმების შემდეგ ჩვეულ ფორმას იბრუნებენ, ვეტერანმა ფორვარდმა იკისრა ლიდერობა და პარტნიორებიც გამოაფხიზლა. ამჯერად ლინდროსი უფრო ჩხუბობდა, რეკიმ კი გოლი და 3 პასი მიითვალა და 14 ქულით ბომბარდირთა შორის დაწინაურებულ სანხოსელ ოუენ ნოლანს ჩაუდგა კვალში. ჯოდი ჰალმა „მფრინავების" რიგებში დაბრუნებისთანავე გოლი გაიტანა, თან უმცირესობაში.

**ტორონტო — კაროლინა 3:3**

2:1 1:2 0:0 0:0

0:1 კოვალენკო 0'47 (1); 1:1 მაკოლი 5'55 (1); 2:1 კროსი 9'51 (1); 3:1 პერო 24'25 (3); 3:2 რობერტსი 33'10 (1); 3:3 ჯ. დენიელსი 37'01 (2)

ოდესღაც სახელოვანი კაროლინელი მცველი პოლ კოფი ბოლო წლებში ყოველთვის ვერ ხვდება ძირითად შემადგენლობაში, თუმც ჯერ სულაც არ აპირებს, ნჰლ-ს ბომბარდირთა სიის მერვე საფეხური დეტროიტელ სტივ აიზერმანს დაუთმოს. ამჯერად მან 1 პასი გააკეთა და 1488 ქულით თავის ყოფილ პარტნიორს გაუტოლდა.

**დალასი — ედმონტონი 2:1**

2:0 0:1 0:0

1:0 მოდანო 11'10 (6); 2:0 ლანგენბრუნერი 17'04 (2); 2:1 ლარაქი 21'54 (1)

სამ თამაშში მხოლოდ ერთი ქულის აღების შემდეგ დალასმა როგორც იქნა მოიგო, თუმც ჩემპიონს, რომელსაც ახლა სულაც არ უდგას საუკეთესო პერიოდი და მის ტრავმირებულებს ჯო ნეუინდაიკიც მიემატა, ორშაიბიანი უპირატესობის გაფლანგვა არასდროს სჩვეოდა.

**ლოს ანჯელესი — ბოსტონი 2:2**

0:1 1:0 1:1 0:0

0:1 კარტერი 4'12 (1); 1:1 რ. ბლეიკი 30'32 (4); 1:2 სამსონოვი 57'37 (1); 2:2 შტუმპელი 58'51 (2)

დიდი უსამართლობა იქნებოდა, რომ ბოსტონს ამ შეხვედრაში თავისი პირველი მოგება ეზეიმა. „მეფეებმა" ჩინებულად ჩაატარეს 7-მატჩიანი სერია სტუმრად და თავიანთ ახალ „სტეპლტონ სენტრში" გამართულ პირველ მატჩში ბოსტონელებზე უკეთ გამოიყურებოდნენ. საბოლოოდ, მიუხედავად რობი ტალასის (38 მოგერიება) შესანიშნავი თამაშისა, მასპინძლებმა მაინც გაათანაბრეს ანგარიში.

**სამველ ლარიბიანი**

# ნაკრები რუსთავში დაიწყებს

გასულ უქმეებზე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელები ბათუმს ეწვივნენ. ზურაბ ტომარაძისა და ნუგზარ კანდელაკის ვიზიტი აჭარაში საქმიანი იყო. „ბასკო“ — სტუ-ს მატჩზე დასწრება, ეროვნულ გუნდში შეგულებულ კანდიდატთა დაზვერვა და ჩვენი ქვეყნის კლუბთა ნაკრების სამომავლო გეგმები — ეს გახლდათ მათი სტუმრობის მიზეზი.

მივყვეთ თანმიმდევრულად. თამაშის ხარისხით ნაკრების თავკაცები კმაყოფილები დარჩნენ. ზღვისპირეთს ტყუილად არ ჩავსულვართო, გამოუტყდა „სარბიელს“ ეროვნული გუნდის მეორე მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი, რომელიც ამასთანავე ბათუმურ შთაბეჭდილებებზე გვესაუბრა. „ბასკოში“ ნაკრების ხუთი კანდიდატი თამაშობს. ჩვენ თვალნათლივ ვიხილეთ, როგორც არიან ბიჭები. რალა დაგიმალოთ და გაოცებულები ვართ — მათ ყველანაირი პირობა აქვთ ნორმალური წვრთნისთვის — გვითხრა კანდელაკმა.

მისგანვე შევიტყვეთ, რომ კლუბთა ნაკრების პირველი ამხანაგური თამაში, რომელიც „ბასკოსთან“ იყო დაგეგმილი, ამ გუნდში მოთამაშე კალათბურთელთა ტრავმების გამო ჩაიშალა. სანაცვლოდ მწვრთნელებმა რუსთავის „აზოტი“ შეიგულეს, მის ხელმძღვანელობასთან შეთანხმდნენ კიდეც და 26 სექტემბერს, სამშაბათს, კლუბთა ნაკრები მეტალურგთა ქალაქს ესტუმრება.

როგორც ნაკრების მწვრთნელები ამბობენ, რუსთავში ექსპერიმენტული შემადგენლობა ჩავა. მოგება-წაგებას არ დაგიდევთ, ჩვენთვის მთავარი მომავალი ეროვნული ნაკრების კანდიდატთა შემოწმება-შერჩევააო, ამბობს ზურაბ ტომარაძე.

ნაკრების აზოტელი წევრები თავიანთ კლუბში ითამაშებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიცე-ჩემპიონი „აზოტი“ სოლიდური შემადგენლობით დაუხვდება ტომარაძის რჩეულ გუნდს, რომელიც დროდადრო იერს შეიცვლის. ამჟამად ბათუმური კლუბიდან არავინ მოგვიწვევია, ახლა თავი შევიკავეთ, სამომავლოდ კი სხვაგვარად იქნებაო, თქვეს ნაკრების მწვრთნელებმა.

ეროვნული გუნდის თავკაცობამ ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოსთან ერთად კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით ერთი ახლებური პროგრამაც შეიმუშავა. შინაური პირველობის მატჩებს შორის ნორჩი მოთამაშეები ცალ ფარზე სამი-სამზე კალათბურთშიც გაეჯიბრებიან ერთმანეთს. ქუჩური წესით შეხვედრებს ახალგაზრდა არბიტრები განსჯიან, რაც მათ დაოსტატებას შეუწყობს ხელს. დევიზი კი ასეთია: „კალათბურთი საქართველოს ყველა მოქალაქის ოჯახში“.

## განცხადება

გაისად სექტემბერში, სიდნეიში ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას იმუშავებს ახალგაზრდული ოლიმპიური ბანაკი. საქართველოდან ბანაკში შეიძლება გაიგზავნოს ერთი გოგონა და ერთი ჭაბუკი, რომლებიც გარკვეულ პირობებს დააკმაყოფილებენ კერძოდ, უნდა იყვნენ 16-18 წლისანი და კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.

ბანაკში მოხვედრის მსურველები დაწვრილებით ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდნენ სეოკ-ის ოფისში ამა წლის 15 ნოემბრამდე.

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის №65. ტელ: 95-20-79

## EURO LEAGUE ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 21 ოქტომბერი

**A ჯგუფი**

ცსკა 74:54 შოლე

**B ჯგუფი**

პანათინაიკოსი 96:69 რეალი

ოლიმპია 87:92 თოფაში

**C ჯგუფი**

ვილერბანი 84:71 ვარეზე

მაკაბი 89:74 ულქერი

**D ჯგუფი**

ციბონა 93:87 კახა სან ფერნანდო

# ბოისას და კომპანიას გამოცდილება ღალატობს

კორაჩის თასი. ჯგუფური ეტაპი. M ჯგუფი

**სლოვანი (სლოვენია) 64:70 ქარშიაქა (თურქეთი)**

სლოვანი: ბოისა (9), ჯურკოვიჩი (8), კოვაჩი (2), ლაკოვიჩი (2), მარავიჩი (13), ნოვაკი (12), პავიჩი (9), შინკოვეცი, შუშტარშიჩი (6), ჟაკელი (3)

ქარშიაქა: ონარი (21), ოზთასი (3), პაშუტინი (12), პეკერი, რასნა (4), სტეფანოვი (23), თურქნაზი (7)

| სლოვანი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ბოისა | 24 | 3/7 | 0/2 | 3/5 | 6 | 0 | 1 | 0 | 5 | 9 |

ლიუბლიანის „სლოვანს“, აგერ უკვე მერამდენედ უმტყუნა გამოცდილებამ. ბერძნულ „ნიარ ისტთან“ მატჩისა არ იყოს, ისინი მთელი მატჩის განმავლობაში იგებდნენ და მეტოქეს, იზმირის „ქარშიაქას“ მხოლოდ ბოლო წუთზე დაუთმეს გამარჯვება. „სლოვანის“ ქართველთაგან მხოლოდ ვლადიმერ ბოისამ ითამაშა. იგი სასტარტო ხუთეულში იყო და თურქეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრს პეკერს მეურვეობდა. ბოისამ ქულა არ გააკეთებინა მეტოქეს და დაცვაში თანაგუნდელების დაზღვევაზეც კარგად ითამაშა, ოღონდ ეს ყველაფერი 36-ე წუთზე თამაშიდან გასვლად დაუჯდა.

ტაიმი ფრედ, 32:32 დასრულდა, შემდეგ „სლოვანი“ დაწინაურდა, ოღონდ დიდი ანგარიშით წინ გასვლას ვერ ახერხებდა. დამთავრებამდე 43 წამით ადრე „ქარშიაქა“ ერთი ქულით იგებდა. სლოვანელმა იაკა ლაკოვიჩმა ორივე საჯარიმო გააცუდა. ბურთი მაინც ლიუბლიანელებს დარჩათ, ოღონდ ერნესტ ნოვაკმა ვერ ჩააგდო. თურქებმა ბურთი წამოიღეს და შეტევა შედეგიანად დაასრულეს. მომდევნო შეტევაში თურქები ნოვაკზე დაჯარიმდნენ, მაგრამ ამან ორივე სროლა გააფუჭა. სამაგიეროდ, ქარშიაქელებმა ივარგეს და კორაჩის თასზე მეორე გამარჯვება მოიპოვეს.

ვლადიმერ ბოისას თქმით, მსაჯებმა რამდენიმე აშკარა შეცდომა დაუშვეს თურქული გუნდის სასარგებლოდ. ამას აღუშფოთებია „სლოვანის“ მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი, რომელსაც ტექნიკური შენიშვნაც მიუღია. „ქარშიაქის“ რიგებში კარგად ითამაშეს მაკედონიელმა ვრბიცა სტეფანოვმა და რუსმა ზახარ პაშუტინმა. ისინი შეუცვლელად, 40 წუთის განმავლობაში იმყოფებოდნენ მოედანზე.

## კორაჩის თასი

ჯგუფური ეტაპი. III ტური. 19-20 ოქტომბერი

**A ჯგუფი**

ვაკალო (შვეიცარია) — ხირონა (ესპანეთი) 88:97, ანტიბი (საფრანგეთი) — გენტი (ბელგია) 75:71

*სატურნირო მდგომარეობა: ხირონა 6 ქულა, ვაკალო 5, ანტიბი 4, გენტი 3*

**B ჯგუფი**

იმოლა (იტალია) — გალათასარაი (თურქეთი) 66:71, ზრინიევაცი (ხორვატია) — ლოკა კავა (სლოვენია) 81:57

*სატურნირო მდგომარეობა: გალათასარაი 6 ქულა, იმოლა 5, ზრინიევაცი 4, ლოკა კავა 3*

**C ჯგუფი**

რეჯანა (იტალია) — ნიკოლ ფერტი (მაკედონია) 96:71

*სატურნირო მდგომარეობა: მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 4 ქულა, რეჯანა 3, ნიკოლ ფერტი 2*

**D ჯგუფი**

ბაიერი (გერმანია) — პეზსი (იტალია) 59:65, მონსი (ბელგია) — უნიკახა (ესპანეთი) 77:74

*სატურნირო მდგომარეობა: მონსი 5 ქულა, უნიკახა 5, პეპსი 4, ბაიერი 4*

**E ჯგუფი**

ინტერი (სლოვაკეთი) — აეროპორტი (იტალია) 64:83, ბეშიქთაში (თურქეთი) — ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) 69:70

*სატურნირო მდგომარეობა: აეროპორტი 6 ქულა, ჰაპოელი 5, ბეშიქთაში 4, ინტერი 3*

**F ჯგუფი**

პილოსეტი (ფინეთი) — ალიტა (ლიტვა) 96:85, ბკ კიევი (უკრაინა) — ლოკომოტივი (რუსეთი) 85:86

*სატურნირო მდგომარეობა: ალიტა 5 ქულა, ლოკომოტივი 5, პილოსეტი 5, ბკ კიევი 3*

**G ჯგუფი**

ზაგრები (ხორვატია) — სპარტა (ჩეხეთი) 82:62, მარუსი (საბერძნეთი) — მაკაბი (რამათ განი, ისრაელი) 81:77

*სატურნირო მდგომარეობა: მარუსი 6 ქულა, მაკაბი 5, ზაგრები 4, სპარტა 3*

**H ჯგუფი**

კოუვოტი (ფინეთი) — ბორასი (შვედეთი) 71:92, პოგონი (პოლონეთი) — ნეპტუნასი (ლიტვა) 74:67

*სატურნირო მდგომარეობა: ნეპტუნასი 5 ქულა, პოგონი 5, ბორასი 5, კოუვოტი 3*

**I ჯგუფი**

ფუენლაბრადა (ესპანეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 63:73, ანტვერპენი (ბელგია) — ოვარენშე (პორტუგალია) 75:52

*სატურნირო მდგომარეობა: ლიმოჟი 6 ქულა, ფუენლაბრადა 5, ანტვერპენი 4, ოვარენშე 3*

**J ჯგუფი**

გროდნო (ბელარუსი) — უნიქსი (რუსეთი) 80:72, შიაულიაი (ლიტვა) — ბიტომი (პოლონეთი) 68:66

*სატურნირო მდგომარეობა: შიაულიაი 5 ქულა, უნიქსი 5, გროდნო 4, ბიტომი 4*

**K ჯგუფი**

ირბ (ისლანდია) — ნანსი (საფრანგეთი) 67:101, ჰუიმა (ფინეთი) — ლუგანო (შვეიცარია) 67:94

*სატურნირო მდგომარეობა: ნანსი 6 ქულა, ლუგანო 5, ირბ 4, ჰუიმა 3*

**L ჯგუფი**

სემა (ლიტვა) — ურალ გრეიტი (რუსეთი) 41:90, ნობილესი (პოლონეთი) — ცსკა (უკრაინა) 83:62

*სატურნირო მდგომარეობა: ცსკა 5 ქულა, ურალ გრეიტი 5, ნობილესი 4, სემა 3*

**M ჯგუფი**

სლოვანი (სლოვენია) — ქარშიაქა (თურქეთი) 64:70

*სატურნირო მდგომარეობა: ქარშიაქა 4 ქულა, ნიარ ისტი (საბერძნეთი) 3, სლოვანი 2*

**N ჯგუფი**

ტრირი (გერმანია) — ტელეკომი (თურქეთი) 84:91, პერისტერი (საბერძნეთი) — ციტლიუკი (ბოსნია) 77:68

*სატურნირო მდგომარეობა: პერისტერი 5 ქულა, ტელეკომი 5, ციტლიუკი 5, ტრირი 3*

**O ჯგუფი**

აპოლონი (კვიპროსი) — ლევსკი (ბულგარეთი) 89:80

*სატურნირო მდგომარეობა: არისი (საბერძნეთი) 4 ქულა, აპოლონი 3, ლევსკი 2*

**P ჯგუფი**

მადეირა (პორტუგალია) — ოსტენდე (ბელგია) 82:88, ესტუდიანტესი (ესპანეთი) — ლე მანი (საფრანგეთი) 95:85

*სატურნირო მდგომარეობა: ესტუდიანტესი 6 ქულა, მადეირა 4, ლე მანი 4, ოსტენდე 4*

*მეოთხე ტური გაიმართება 2-3-4 ნოემბერს*

# სარბიელის საშუალებით ფიბა გეკითხებათ

eur stars

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი“, მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს“ ერგო. ამრიგად, „სარბიელის“ მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში“ მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში“ მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

| | | |
|---|---|---|
| ☐ ალესანდრო აბიო | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ფრაგისკოს ალვერტისი | საბერძნეთი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ალბერტო ანგულო | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ მიროსლავ ბერიჩი | იუგოსლავია | უგუნდოდ |
| ☐ ჰუსეინ ბეშოქი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ ჟიმ ბილბა | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ დავიდე ბონორა | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ დეიან ბოდიროგა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ პრედრაგ დანილოვიჩი | იუგოსლავია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი | იუგოსლავია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ გინტარას ეინიკისი | ლიტვა | ცსკა (რუსეთი) |
| ☐ ნიკოს ეკონომუ | საბერძნეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰარუნ ერდენაი | თურქეთი | ულქერი (თურქეთი) |
| ☐ ვინჩენცო ესპოზიტო | იტალია | იმოლა (იტალია) |
| ☐ ლორან ფუარე | საფრანგეთი | ტაუ (ესპანეთი) |
| ☐ გრეგორ ფუჩკა | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ტორბიორნ გერკე | შვედეთი | პლანია (შვედეთი) |
| ☐ გორდან გირიჩეკი | ხორვატია | ციბონა (ხორვატია) |
| ☐ ალბერტო ერეროსი | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ არტურას კარნიშოვასი | ლიტვა | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ოდედ კატაში | ისრაელი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მიხაელ კოხი | გერმანია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ იბრაჰიმ ქუთლუაი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ დენის მარკონატო | იტალია | ბენეტონი (იტალია) |
| ☐ ანდრეა მენეგინი | იტალია | ვარეზე (იტალია) |
| ☐ მარკო მილიჩი | სლოვენია | ოლიმპია (სლოვენია) |
| ☐ ველკო მრშიჩი | ხორვატია | უნიკახა (ესპანეთი) |
| ☐ დამირ მულაომეროვიჩი | ხორვატია | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ მარტინ მიურსეპი | ესტონეთი | აეკ (საბერძნეთი) |
| ☐ კარლტონ მაიერსი | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ პეტარ ნაუმოსკი | მაკედონია | უგუნდოდ |
| ☐ ხუან კარლოს ნავარო | ესპანეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ საშა ობრადოვიჩი | იუგოსლავია | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| ☐ პაულუ პინტუ | პორტუგალია | პორტუ (პორტუგალია) |
| ☐ დინო რაჯა | ხორვატია | ზადარი (ხორვატია) |
| ☐ ჟელკო რებრაჩა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ეფტიმიოს რენციასი | საბერძნეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ ანტუან რიგოდო | საფრანგეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰენრიკ როდლი | გერმანია | ალბა (გერმანია) |
| ☐ დორონ შეფერი | ისრაელი | მაკაბი (ისრაელი) |
| ☐ მატიაჟ სმოდიში | სლოვენია | კრკა (სლოვენია) |
| ☐ მუსტაფა სონკო | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ საულიუს შტომბერგასი | ლიტვა | კინდერი (იტალია) |
| ☐ ერიკ სტრიუელენსი | ბელგია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ დრაგან ტარლაჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მილან ტომიჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ დომინიკ ტომჩიკი | პოლონეთი | პეკაესი (პოლონეთი) |
| ☐ ალექსის ზახარიუ | კვიპროსი | აპოელი (კვიპროსი) |
| ☐ ირჟი ზიდეკი | ჩეხეთი | ჟალგირისი (ლიტვა) |
| ☐ მინდაუგას ჟუკაუსკასი | ლიტვა | ჟალგირისი (ლიტვა) |

| სიაში არმოხვედრილი ევროპელები | არაევროპელები |
|---|---|
| ______________ | ______________ |
| ______________ | ______________ |

*სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.*

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 1 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის“ რედაქციაში მისამართზე:

**თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,**

ან საფოსტო მისამართზე:

**თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208**

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:

______________________________

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ჰონგ კონგიდან



# ედი ჰონგ კონგში

*მაკლაიზიაში რომ „ფერარიმ“ იმარჯვა და მერე ყველაფერი ჩამოართვეს და „მაკლარენის“ მიკა ჰაკინენს მიუბოძეს, ფერარელი ედი ირვინიც დაზარალდა. აბა, როგორია? მოიგო და მერე დაისაჯო ძრავების და ეშმაკური რამერუმეების გამო. გულს გადაგაყოლებო, უფიქრია ედის და იმ ქვეყნიდან ჰონგ კონგისკენ გამოუწევია, ერთი მოკლე ტურისტული ამბავი არ მაწყენსო. ახლა იქაა და გემით სეირნობს.*

## კასპაროვი — მსოფლიო





1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კxd7+ ლxd7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 cxd4 9. მxd4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლxe4 12. მc7+ მფd7 13. მxa8 ლxc4 14. მb6+ axb6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მxe4 ლxe4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ეxa4 22. ეxa4 ლxa4 23. ლxh7 კxb2 24. ლxg6 ლxe4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლxe6+ მფxe6 32. g3 fxg3 33. fxg3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კxd4 exd4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5 b1=ლ 48. ეxb1 მფxb1 49. მფxg6 d2 50. h8=ლ d1=ლ 51. ლh7 b5 52. მფf6+ მფb2 53. ლh2+ მფa1 54. ლf4 b4 55. ლxb4 ლf3+ 56. მფg7 d5. 57. ლb4+ მფb1 58. g6 ლe4 59. ლg1+ მფb2 60. ლf2+ მფc1 61. მფf6 d4

REUTERS ნიუ იორკიდან



# ბორისი გვირჩევს

რაც რომ ყეენობა არ უნდა გაიმართოს, გამოჩენილ კაცს ყველგან დაუძახებენ. ამიტომაც მოხვედრილან ჩოგბურთის ფრთოსნები ბორის ბეკერი და მონიკა სელეში ნიუ იორკში, ტეგ ჰიუერის საათების ახალი სერიის, „ლინკის“ პრეზენდაციაზე. თუმცა, ბორისს სხვა საქმეც ჰქონია. ამ პრეზენტაციაზე მოდელად ყოფილა დაძახებული და „ლინკის“ რეკლამაც უშურველად გაუწევია თავისი ფოტოებითა და ტანსაცმლის ხშირი ცვლით. ხომ იყიდი, ბორისი რომ გირჩევს?

## ბრძოლის მოლოდინში

REUTERS ლას ვეგასიდან

ამ ორი კაცის თვალებში მძულვარება და სიავე დგას. ერთმანეთს ისე უყურებენ, თითქოს ტყვიასაც არ დაინანებენო. მაგრამ ეს შოუს მძულვარებაა და არა ნაღდი ცხოვრებისა. ასეა კრივში, რიტუალი უნდა დაიცვა. მაიკ ტაისონი და ორლინ ნორისიც ამიტომ ელაპარაკებიან ერთმანეთს თვალებით, მე გაგაფუჭებ, არა მეო. ბრძოლა კი მართლაც ფიცხელი იქნება „ემჯიემ გრანდში“.





# ლომუ სეირნობს

*ზელანდიის „ოლბლექსი“ რომ ფრანგულ რივიერაზე ისვენებდა სამ დღეს და შოტლანდიელთა დასამარცხებლად ემზადებოდა მსოფლიო თასის მოგების ამბავში, პაპარაცებს მისი ჯიგარი დაუხევიათ! აგე, რარიგ სეირნობს ამოუცნობ გოგოშკასთან ერთადო. იმათ თავიანთ საქმე უკეთ იციან, მაგრამ ჩვენის აზრით, ეს ამოუცნობი ქალი ლომუს ცოლია.*

REUTERS ნიუ იორკიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli